



გაზეთი გამოდის  
1930 წლის 5  
ნოემბრიდან

samtredlismacne @ mail.ru

# მაცნე

## სამბრაღიის

N15 (9159)

30 მაისი, 2015 წელი

ფასი 50 თეთრი



2

მოპოვებულს  
მეტი შიშობა  
და ბიძოდა სჭიხდება  
შენახჩენებისთვის

“ნაციონარება” “ოცნების”  
“იამკაში” ჩახსყეს



3

ამ რეალობასთან თვალის  
გასწორება “ნაციონალებს”  
უნდათ თუ არა, მაინც უწევთ



6

“მოსიარულე წიგნები” ბიბლიოთეკაში

ჯონჯუხსმა მეოხე უცაშის  
გამახჭუებურები  
გამოაუღინა 2



4

ჯარისკაცის დღიურიდან

“შენი  
იველი  
აფხდგეს  
ძღიეღი...”

3



შვიტანუ შუნი ნულოლო

5

“აიხის” წარმაცვებულა შაიხი 7

1 ივნიისი ბავშვობა დაცვის სამართაურორისო დღეა



ჩამი მოგზაურობა სამართველოში



ყველოსზე უამქრისანი შერლოკოლოები სამცხროღიიღასნ! SHERLOCK

# 26 მაისი საქართველოს დამოუკიდებლობის დღია! მოპოვებულს მეტი შიხმა და ბიძოც სჭიხება შენახუნებისთვის

თავა ბაბუნაშვილი

აღლოებით თუ უაღლომოდ 26 მაისი მაინც დამოუკიდებლობის ზეიშია საქართველოში! მართალია, იმ დღეს ბევრმა დასვა რიტორიკული შეკითხვა – ვართ კი დამოუკიდებლები?! მაგრამ ზეიმი ზეიმიდ ჩაგატარეთ მთელი ქვეყნის მასშტაბით და არც საზოგადოების განწყობით დაინტერესებულა ვინმე დიდად. როგორც ასეთ დღეებს შეეფერება ხოლმე, იგი საზეიმო უნდა ყოფილიყო და ყოველ შემთხვევაში ერთი შეხედვით, ასეც გახლდათ.

წელს 35-ე საქართველო, ოლიმპიური ცეცხლის ქვეყანაში ჩამოტანით რომ შეეგება ქვეყნის დამოუკიდებლობის ზეიმი. ესეც დამთხვევა! ღმერთმა ინებოს, საწინაო განხედს იგი საქართველოსთვის, თორემ, ჯერჯერობით, “წყალს მივყავართ, ბიჭო, ამ კოდექსით ორივე!” – თუმცა, აქ რა მოსატანია ადგილობრივი და პატიმრის საუბარი! არადა, გტკივა დამოუკიდებლობის უდარდელად მოხეივნი ქვეყანაში, ერთ პატარა ქალაქ სამტრედიის საატესტატო გამოცდებზე ჩაჭრილი რამდენიმე მოსწავლე არა სინარმაცის, არამედ იმის გამო, რომ სწორედ გამოცდების წინ ჩამოვიდნენ თურქეთიდან, სადაც სამუშაოდ იყვნენ წასული ოჯახისთვის რამდენიმე გროშით დასახმარებლად. და კიდევ ბევრი სტიკა ქვეყანას, მათ კი ნაკლებად, ვინც ამ ქვეყნის კეთილდღეობა საკუთარ მოვალეობად მიიჩნია. საყვედუროდ ვახდით ქვეყნის სიყვარულზე დღეს ბევრი ლაბარაკობს. ყველა მათგანის გულწრფელობას ნუ ვენდობით, რადგან იმდენი ფაქტია სახეზე...

განწყობის გამოსაკეთებლად ორი მაგიური სიტყვაა, “საქართველო გაბრწყინდება!” და უფლის ნებით მივგნდით მომავალს. თუმცა, იმის დაფიქრებაც არ შეიძლება, უფალმა რომ უთხრა წყალწაღებულს, ხელი გაანბრიე და ნამეგელი იქნებო.

ყვარულისა და ერთგულების ფიცი. ოლორის იპოდრომიდან მხედრების სტუმრობა განსაკუთრებულად მორიგო იმ დღის განწყობამ.

მკლავის ძალა გამოსცადეს და მკლავში პირველობა პაატა თავაძემ არავის დაუთმო, გირების აზიდვაში ვეფხია სტურუამ იპირველა, ჭიდაობაში კი ბეჭდაუდებული გონა ზაქრაძე გახლდათ. ფერწერული ტილოების გამოფენა ბაღის კიდეზე განსაკუთრებით მონატრება რომანტიზმს მოუღებულ ყოფიერებას.


თანდათან ხალხით აივსო მომავლის პარკი. “საჭიდაოდ” მისკენ მიიზიდა დიდი თუ პატარა. ასე ოცდაექვსმასობდა სამოქალაქო ომგამოვლილი პატარა ქალაქი დიდი განცდებით.

“ბედნიერი უნდა იყოს ყველა ქართველი ამ დღეს. ბედნიერი ვარ მეც, როცა გამახსენდება, რომ 1921 წელს გამოცხადებული ქვეყნის დამოუკიდებლობა



მიულოცა ქვეყნის დამოუკიდებლობის დღე: “გილოცავთ 26 მაისს დიდი იმედებით, სამშობლოსთვის ბრძოლის და შრომის სურვილებით, რწმენით, რომ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა აუცილებლად გაბრწყინდება!”

ორე დიდ ჯიხაიშელი გიორგი ფოფხაძე, მესამე კი, საყულოელი ერეკლე ლობჯანიძე გახლდათ, რომლებსაც პრინცი გადაეცათ. ფეხბურთის და არა მარტო ფეხბურთის მოყვარულები გულშემატკივრობდნენ იმ დღეს რაიონის გუნდს. დიდი ამაღაც დაიძრა სამტრედიიდან. თასის სამტრედიის ჩამოტანის იმედი მწარედ გაცრუვდა, მაგრამ ... ასეც ხდება. მაგანს და მაგანს კი საკარულად ქვეყლი გაბრწყინდება!



და უხვად პოლიტიზირებულ დღევანდელობაში.

საქართველომ იხეიმა დამოუკიდებლობის დღე! იოცდაექვსმასისა ისე, როგორც დღევანდლობამ მოიჭანა. კაცები დღის ცოცხლობსო, ხშირად უწევთ ქართველებს გამეორება და კიდევ ერთხელ, “ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირული სულისკვეთება!” – ესმის სამშობლოს საუკუნეების წინანდელი ყიფინა ბრძოლის და გამარჯვების!



ბა ისევ აღდგენილია საქართველოში. გარდა ამისა, დღეს ქართულად აღზრდილი ჭეშმარიტი ქართველი კაცის, მერაბ კოსტავას დაბადების დღეა. და კიდევ, 26 მაისი ზვიად გამსახურდიას გაპრეზიდენტების დღე გახლავთ. მე იმითაც ვარ ბედნიერი, მართალია, დიდხანს არა, მაგრამ იგი ქვეყნის პრეზიდენტი რომ იყო. – ამბობდა საერებულოს თავმჯდომარის მოადგილე კობა ძიძიგური, რომელსაც ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი არაერთწლიანი წარსულით შექმნილი თავის მოწონება.

მუნიციპალიტეტის გამგებელი ვალერიანე ფოცხვერია ცოტა ხანში სამტრედიის საფეხბურთო გუნდის საგულშემატკივროდ უნდა წასულიყო დედაქალაქში. მანამდე მოხეივნებს შეუერთდა და ყველას გულითადად

რიტორიკით თავი რომ არ შეგაწყინოთ, სამტრედიის და 26 მაისის დღია! “მომავლის პარკი” ნელ-ნელა ივრებდა ახალგაზრდებს. ახალგაზრდებს, რადგან გამველულ-გამომოვლელი დიდად არ დაინტერესებულა სანახაობით აქ რომ გაიმართა. მხიარული და გასართობი კი ნამდვილად იყო ის, რაც მომავლის პარკში იმ დღით მოეწყო. მუნიციპალიტეტის კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურმა, რომელსაც ნატალია მანჯგალაძე ხელმძღვანელობს, ძალისხმევა არ დაიშურა ამ დღის გასალამაზებლად. ბაიკერთა შოუ პირველი გახლდათ, რაც იმ დღით მოეწყო. მერე ჯგუფი “ლაღის” და “უკარი”, რომ ძველ ხანჯალს ელდა ეცეს” ელამუნებოდა სულში განხუდ ქართველობის სიმებს. არ შეიძლება, ამ პანგმა 9 აპრილი არ მოგაგინოს 1989 წლის!

სისხლით და ცრემლით გათენებული დღის შემზარობა არ გაგახსენოს 26 მაისს! არც “სამტრედიის” ტოვებდა ამ ჯგ-



უფის შესრულებით გულგრილს მსმენელს. მეოთხე ბაგა-ბაღის პატარა აღსაზრდებლებმა, ჯარისკაცის ფორმა მორიგეს და სახალხოდ დასდეს მამულის სი-

## სამოქალაქო საზოგადოება ადგილობრივი დემოკრატიისათვის

28-29 მაისს მუნიციპალიტეტის გამგეობაში სათემო ლიდერებისათვის ტრენინგი ჩატარდა, რომელიც ნაწილია პროექტის “სამოქალაქო საზოგადოება ადგილობრივი დემოკრატიისათვის”. იგი ევროკავშირის მიერა დაფინანსებული. ტრენინგებმა, გვანცა თითაძემ და ზაზა გოჩელაშვილმა შეკრებილთ საინტერესოდ და ამომწურავად ესაუბრეს ადგილობრივი თვითმმართველობის უფლება-მოვალეობებზე, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით რომაა გათვალისწინებული. ტრენინგთა განმარტებით ამ ეტაპზე 1100-ზე მეტ ადამიანს (ამომრჩეველს) გაუზრდება ცნობიერება ამ კუთხით.

– მიუხედავად იმისა, რომ მაღალია მუნიციპალიტეტის გამგებლების ლეგიტიმაცია, ისინი ანგარიშვალდებულნი არიან საკრებულოსა და ხალხის წინაშე. რაც შეეხება საკრებულოს, საკრებულო ვალდებულია წელიწადში ერთხელ ანგარიშით წარსდგეს ამომრჩეველთა წინაშე, ხოლო სამ თვეში ერთხელ საჯარო შეხვედრები გამართოს ამომრჩეველებთან, რაც საკითხებთან დაკავშირებით უკეთ ინფორმირებისათვის. – აღნიშნეს ტრენინგებმა.

ტრენინგი კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობდა და დამსწრეთა მოწონება დაიმსახურა.

– სათემო ლიდერებისათვის გამართული ეს შეხვედრა ხელს შეუწყობს ამომრჩეველთა მეტ გაცნობიერებას საკუთარ უფლება-მოვალეობებში. ასევე, მათ მეტ ჩართულობას თვითმმართველობის საქმიანობაში. – განუცხადა “სამტრედიის მაცნეს” მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსმა, ბეჟან გეგეშიძემ.



ლევან ბაბუნაშვილი

## კონკრეტული მოქმედების განხორციელება

25 მაისს სამტრედიის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისია შეიკრიბა და კონკურსის მეორე ეტაპის ტესტირების შედეგები განიხილეს.

ტესტირებზე კომისიის მიერ დაშვებული 289 აპლიკანტიდან 36 ქულიანი ბარიერი 86-მა გადალახა. მათ შორის სამი, ვერონიკა ხლინოვსკაია, ნათელა კვანტალიანი და ეკატერინე პაპავა ატესტაციას დაქვემდებარებული პირები არიან. შესაბამისად ისინი მესამე ეტაპის გასაუბრების გარეშე შეინარჩუნებენ დაკავებულ პოზიციებს.

ამდენად, 83 კონკურსანტი მესამე ეტაპს – გასაუბრებას გაივლის 5 ივნისამდე.

ცნობისათვის, 83 კონკურსანტს გასაუბრებაზე ემატება 51 მოქალაქე, რომლებმაც წინა კონკურსებში მიიღეს დადებითი შეფასება და კანონის შესაბამისად შეუნარჩუნდათ ქულები.

ამდენად, 48 ვაკანსიაზე გასაუბრებას 134 კონკურსანტი გაივლის. ნუგზარ ჯამბურია, კომისიის თავმჯდომარე: “კომისია საკმაოდ დიდი სირობის წინაშე აღმოჩნდა, ვინაიდან საჯარო სამსახურში მუშაობის მსურველი ათეულობით ადამიანია, გასაუბრებაზე მოსმენა და არჩევანის გაკეთება მოგვიწევს. მინდა, ყველა დაგამშვიდო, რომ ვიქნებით სამართლიანები, გავითვალისწინებთ შესარჩევი კადრების კვალიფიკაციას, მომზადების დონეს და გამოცდილებას”.

6060 ნახტავი

# ამ რეალობასთან თვალის გასწორება “ნაციონალებს” უნდათ თუ არა, მაინც უწევთ

## “ნაციონალებმა” “ოცნების” “იამკაში” ჩაახყვეს

თბა ბაგუნიძე

ქართულ პოლიტიკურ ლექსიკონში ბოლო დროს შემოღებულ ტერმინთა შორის სულ რამდენიმე დღის წინ დაკვიდრებული “პოლიტიკური განქორწინება” იმ მოვლენის აღმნიშვნელი გახდა, მეოთხე წელია, ხელისუფლებაში არმყოფი და უკვე შემდგარი ოპოზიციური ძალის, “ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” რიგების რღვევის აღსანიშნავად რომ გამოიყენება. 26 მაისს დაასწრეს, თუმცა, მიზეზების გამხელა საზოგადოებას და მოუკიდებლობის ზეიმი არ “ჩააშხამეს” პარტიიდან წასვლებმა. მიზეზი კი ზოგმა საერთოდ ვერ გაიგო, ზოგმაც ეს მოულოდნელობა კარგა ხნის მოსალოდნელობად და ხელისუფლებაში კვლავ მოსვლით თავის გადასარჩენად გადადგმულ ნაბიჯად შეაფასა. როგორც ხდება ხოლმე, დღეს საქართველოში ამ თემაზე ყველა საუბრობს – პოლიტიკოსები, საზოგადოება, ექსპერტები. ერთი სიტყვით, ყველა, ვინც ერეკვეს, განსაკუთრებით კი ისინი, ვინც ვერ ერეკვეს საქმის ვითარებაში – ესეც მიღებული პრაქტიკა გახდა ქართულ პოლიტიკაში.

“ნაციონალური მოძრაობა” ოთხმა წევრმა დატოვა! ამ რეალობასთან თვალის გასწორება “ნაციონალებს” უნდათ თუ არა, მაინც უწევთ. მოახლოებული საარჩევნო წელი ბევრს აფორიაქებს პოლიტიკურად. ამგვარი ფორიაქი, პირველ რიგში, საპარლამენტო ოპოზიციური ძალას დაეჭვო. შედეგებზე შედეგებისას ვისაუბრებთ. მანამდე კი, მათი კომენტარები, პერიფერებში რომ არიან ხელისუფლებასა და ოპოზიციას მყოფი პარტიების სახეები.

და რა თქმა უნდა, თავდაპირველად თავად “ნაციონალები.” მათ ოფისში შესვლისას, ხუმრობით დასმულ შეკითხვას, რომელი რომელი ხართ და ვინ სად დარჩით-თქო, პასუხად ხუმრობით კი არაა, დარწმუნებით უპასუხეს – აქ “ნაციონალები” ვხივართო! ამით ადგილზე მათი რიგების რღვევის მოლოდინის ეჭვები ამოწურეს. კითხვას უფრო ვრცელ პასუხად კი დღეაქალაქიდან, პოლიტსაბჭოდან ახლად დაბრუნებული “ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” სამტრედიის რაიონული ორგანიზაციის თავმჯ-

დომარის, ემზარ შუბლაძის კომენტარი მოჰყვა: “გარეგულმა ჯგუფმა მიიღო პარტიიდან წასვლის გადაწყვეტილება. ეს მათი სუბიექტური აზრია. რა თქმა უნდა, სასურველი არ იყო, თუმცა, რადგან მოხდა, იძულებული ვართ, შევეგუოთ არსებულ მდგომარეობას. ეს რამდენიმე დღიანი უკმაყოფილება გახლდათ მხოლოდ, თორემ, არანაირი ზეგავლენა არ მოუხდენია პარტიის შემდგომ მუშაობაზე. ბუნებრივია, როცა თანამებრძოლი, მით უმეტეს, პარტიის აღმასრულებელი მდივანი მიდის ასე მოულოდნელად, ყველასათვის გულდასაწყვეტია. რაც შეეხება მათ არგუმენტებს, მართალი ვითხრათ, ვერ გავიგე. სამტრედიამ ყველაფერი ძველებურად გაგრძელდება. კითხვის სხვაგვარად დასმა და დაეჭვება სასაცილოდაც კი მიმაჩნია. ამგვარი რამეები გვაძლიერებს კიდევ. დიდი რყევების მიუხედავად, ჩვენ ვარსებობთ და ვიარსებებთ იმისათვის, რომ ჩვენი ქვეყანა გაძლიერდეს. მიუხედავად იმისა, რომ დღეს ოპოზიციას ვარ, ბუნებრივია, არ მახარებს ის, რაც ლარის კურსის ირგვლივ ხდება, არ მახარებს ეკონომიკური უკანსვლა. ერთი სიტყვით, ის, რაც მოხდა, შემძლია შევადარო იმას, მანქანით რომ მიდიხარ და “ოცნებამ” რომ არ შეაკეთა, იმ ორმოში წამით რომ შეანელებ სვლას.” და რადგან იმ შეუკეთებელ ორმოს ქართველები “იამკას” ვეძახით “ქართულად”, ემზარ შუბლაძის კომენტარის სლენგი ასეთია – “ნაციონალებმა” “ოცნების” “იამკაში” ჩაარტყეს.

“როგორც ოჯახში ყველა ერთ აზრზე ვერ იქნება, ისეა პარტიაშიც. თუმცა, დამატარალური სხვაობა ნამდვილად არ არის. მათი არგუმენტები ცოტა გაუგებარია კია. ზურაბ ჯაფარიძეს საკმაოდ სერიოზული პოლიტიკური პოსტი ეჭირა. მალე ნახავს საზოგადოება, ვინ დაეკავებს მის ადგილს. მართალი ვითხრათ, პიროვნულად დისკომფორტს განიცდი. ჯაფარიძეში ვხედავ არა პოლიტიკოსს, არამედ ძლიერ სპეციალისტს, ეკონომიკის კარგად მცოდნეს. აღნიშნა კიდევ ვინაა ხუზაშვილმა, იგი უფრო არა პარტიამ, არამედ პარლამენტმა დაკარგა, როგორც კარგი ეკონომისტი ფრაქციაში და კომისიებში სამუშაოდ.



“NDI” გამოვითხვებით “ნაციონალობა” ძლიერ პოლიტიკურ ძალად დარჩა. თუ ვინმე იტყვის, რომ საზოგადოებას არ სჯერა ამგვარი გამოვითხვევის, ასე დავსვით კითხვა: ვისი სჯერა საზოგადოებას? მე, როგორც “ნაციონალური მოძრაობის” წევრი, სრულიად ვზიზიანებ პარტიისმეგობრობას შეცდომებზეც და მის გაკეთებულ საქმეებზეც. და კიდევ ერთხელ, გამეორებად არც დიღს, ვინც აკეთებს იმას, რომ ეშლება, თუმცა აქვე, ამ პოლიტიკური ძალის არაერთი წარმატებაც არ უნდა დავივიწყოთ. მიუხედავად დამსჯული შეცდომებისა, მგარ, ოპოზიციური ძალად რჩება “ნაციონალობა”, რომელიც ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში იქნება გააგრძელებს, სადაც შეჩერდა. მე ხელისუფლების ოპოზიციას ვარ და არა ჩემი ქვეყნის. ამტომ სურვილი მაქვს, ნულიდან დასაწყისი არ შეიქნეს საკეთილდღეოდ დაწყებული ძვრები და რეფორმები.” – ასე გვიცხადებდა იმ დღის ფიქრობის სამტრედიელი “ნაციონალებიდან.”

რადგან არც იმას ველოდით, რაც მოხდა და გაბორცვულიც არაფერი ყოფილა თურმე, ისე, ყოველი შემთხვევისთვის, რომ რამე იყო და... “ქართული ოცნების” რაიონული ორგანიზაციის თავ-



მჯდომარე და იმავდროულად მუნიციპალიტეტის გამგებელი ვალერიანე ფოცხვერია პარტიის განწყობის გათვალისწინებით აცხადებს, რომ “ნაციონალებთან” საერთო არაფერი გვაქვს და გვექნება! უნდა გაერთიანდნენ, უნდა დაიშალონ. ეს ჩვენ არ გვეხება. ვილატეები მიხვდნენ ალბათ, რომ ამ პარტიაში ყოფნა არ შეიძლება. ვთვლი, რომ დაავადებულნი არ არიან, რომ ამ პარტიას პერსპექტივა არ აქვს და ახალ რამეს ეძებენ, მათ პოლიტიკურ გემოვნებაზე მეტყველებს. ვერ კიდევ არჩენებამდე დაავადებულ მოსახლეობას და ასე იქნება, სანამ პოლიტიკაში ვიქნები, “ნაციონალებთან” არ ვითანამშრომლებ! თუ აღიარებენ თავიანთ შეცდომებს ქართველი ერის წინაშე, ენახით, ამ შემთხვევაში რას გადაწყვეტს ქართველი ხალხი.”

სამტრედიამ “რესპუბლიკური პარტიის” ლიდერი იმედა გოგავა, არაერთ-სიანი პოლიტიკური გამოცდილებით აცხადებს, რომ “ნაციონალებთან” რამდენიმე ლიდერის წასვლას პარტიის შიდა პრობლემად მივიჩნევ და ვთვლი, რომ ყოფილ სახელისუფლებო პარტიაში კიდევ მოიმუშაობენ ადამიანები, რომლებიც მშობლიური პარტიის მომავალს ბინდისფერ-

ად უყურებენ, ან საერთოდ ვერ ხედავენ. ამიტომაც დაიწყეს ახალი პოლიტიკური თამაში, რომლის მიზანიც მხოლოდ და მხოლოდ “ნაციონალობის” და მისი ლიდერების ნეგატივის ჩამოშორება და მის ნაცვლად ახალი, გაცილებით ღირებული ბევრად უფრო შექმნაა. ვფიქრობ, რომ “ნაციონალები და კომპანია” კიდევ შეუერთდებიან ყოფილი თანამებრძოლები და თვითგადარჩენის ინსტიტუტით მონაწილე პოლიტიკოსები, რომლებსთვისაც მისა და “ნაციონალობა” უკვე წარსული და გუშინდელი დღეა. შესაბამისად, პოლიტიკურ მომავალს სხვა ძალებით შეეჭიდებიან.”

ეს ყველაფერი ჯერჯერობით კომენტარები და ვარაუდებია. ასჯერ გავზომის ნაცვლად ქართულ პოლიტიკაში ყველაფერი ერთხელ იტყება და რა იქნება ხვალ, იმაზე ადრე გამოჩნდება, ვიდრე ხვალე გათვინდება. პირველკაცობის დაუძლეველი სურვილი ქართველი პოლიტიკოსების და არა მარტო პოლიტიკოსების სისხლში ჭარბად მყოფი ბურთულაა, ასე, რომ სიურპრიზები მოახლოებული არჩევნებისას, ჩანს არ მოგვაკლდება. თუმცა, უკვე ძნელია, ქართული პოლიტიკა რამით გააკვიროვ!

## ახალგაზრდებო?!

### პირობი მოძივროს სიყვარულს, ვანს სიყვარულს თქმს ყბრას?

ბოლო ხანებში ტელევიზია ხშირად გვთავაზობს გასართობ გადაცემებს, შოუებს და ა. შ. ბევრ მათგანში ნამდვილად იგრძნობა ლალი ოუმორის გრძნობა, ბევრში კი... იუმორს რომ თავი დავანებოთ, რატომღაც ტრადიციულ დამკვიდრდა ახალგაზრდების ცინიკური დამოკიდებულება ბებია-ბაბუების თაობისადმი, რაც მასების ღიმილის მოსაგვრელადაა გამიზნული.

“ბებიანკეში ისე იყო მოეწეული, კუბოს თავი ვერ დავახურეთ”, “ბებიანკეში და ბაბუანკეში ისე დაპატარავდნენ, ბანკაში დავხუფეთ”, “მამაკაცის ბებიის ქელხში ისე მევიღიხინეთ...” ეს “მარგალიტები” ნაწილია სცენიდან გადმოღვრილი “სიბრძნისა”.

ჩემის აზრით, ამ ახალგაზრდებს და მათ გულმემატიკურებს, რომლებიც ესოდენ მიუღებელი ფორმით, ყოველმხრივ გაუმართლებლად ცდილობენ, სხვებს ღიმილი მოჰკვირონ, ცოდვანი არიან და (ვა)უხრდელელები. რომელ მათგანს არ ახსოვს ბებია-ბაბუასაგან სიბო, სიყვარული?

შვილის სიყვარულმა გულში გაიარა, შვილიშვილისამ გულის გულში, ქართველმა კაცმა თქვა ეს მრავლისმთქმელი სიტყვები. შვილიშვილები კი... მათ ხანდაზმულობაზე, ღიმილიანობაზე, უმწიფობაზე იცინიან და ცდილობენ, სხვებზეც ახარებონ.

ამ წერილის ავტორი კარგა ხანია, თინეჯერულ ასაკს გასცდა, თუმცა, თუ უფალმა დააცალა, ღრმა სიბერემდეც საკმაოდ დრო აქვს დარჩენილი, მაშ რისთვისაა გაისარჯეო? – ივითხოვ იქნებ ვინმემ, იმისთვის, რომ მამათა თაობის სახელით კეთილი რჩევა მოგცეთ, ამაოდ ცდილობთ, იყოთ იპოლიტიკ ხეიანა, აუკი კვანტლიანი...

ამდენად, ჩემო მაინც კარგო გიგი, ზაზა, ნიკო, გელა... პატივი ეცით ბებიებსა და ბაბუებს, მათ დაყოფილ, მთრთოლვარე ხელებს, თქვენს ლოცვაში ლამის დაღამებულ თვალებს.

ახალგაზრდებო?!

ლევან ბაგუნიძე

## ჩემი პირველი მშენებელი ქალი შვედეთში

ნათია ნაცვლიძე

ჩვენი მუნიციპალიტეტის ცენტრში ბოლო დღეებში ძაღლების ჯგუფს ხშირად შენიშნავენ. მაწანწალა ცხოველები მოქალაქეებს თავს ესხმან. მათ მიერ დატყვევებული ადამიანმა რედაქციაშიც მოგვაცოცხა და გვთხოვა, დაეინტერესდნენ არსებული ვითარებით და იმ უწყებათაგან, ვისაც ამ საკითხის კურირება ევალება, გავარკვიოთ, რამდენად ზრუნავენ ისინი ჩვენი მოქალაქეების უსაფრთხოებაზე.

პირველად შპს “ჯეო-პოსპიტალის” სამტრედიის მრავალპროფილურ ცენტრს და მის ექიმ რაბილოვს, მანანა შენგელიას ვეწვიეთ. იმატა თუ არა ძაღლის მიერ დატყვევებული რიცხვმა ბოლო დღეებში? ამ შეკითხვაზე ქალბატონმა მანანამ გვიპასუხა, რომ მოქალაქეთა განსაკუთრებული მატება არ არის. “ძაღლის მიერ მოქალაქეების დატყვევება, ხდება და ღმერთმა ქნას, ნაკლები იყოს მომავალში. დინამიკა ჩვეულებრივია, 1 წელია, რაც ექიმ რაბილოვს ვეწვიოთ და განსაკუთრებულად საგანგაშო სტატუსითაა ამ ზოგჯერ არ გვაქვს”. – განგვიცხადა ქალბატონმა მანანამ და დედებს ურჩია, შვილები მთავრად ცხოველებს.

მუნიციპალიტეტის გამგეობის შესყიდვების, ზედამხედველობისა და მოსაკრებლების სამსახურის უფროსი, მიხეილ ლეჟავა: “წლეულს მოსახლეობის მოთხოვნის საფუძველზე ჩვენმა მუნიცი-

პალიტეტმა გააფორმა ხელშეკრულება ოზურგეთელ მეწარმე გიორგი მაღლაფერიძესთან (წლიური ხელშეკრულება 4800 ლარის ოდენობით). წლების განმავლობაში გვეკონდა ასეთი პრაქტიკა: ხდებოდა ძაღლების დაჭრა და განადგურება, მაგრამ შემდეგ ჩვენს მუნიციპალიტეტში შემოვიდა რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლებიც ძაღლთა უფლებებს იცავდნენ. ამ პიროვნებას უწიველს სასამართლოში, სასამართლომ რამდენჯერმე ის დაავადებულ კიდევ ძაღლებთან არასწორი მოპყრობის გამო. მეწარმემ საქმიანობა დროებით შეაჩერა, მაგრამ შემდეგ მოიპოვა ფინანსური რესურსი და შექმნა ძაღლების თავშესაფარი, სადაც მოხდება ცხოველების შემოწმება, კასტრირება, მათ სხეულში გამრავლების საწინააღმდეგო ვაქცინის შეყვანა. თითოეულს ყურზე უნდა დაედოს ლექი, აი, ასეთია ევროკავშირის მოთხოვნა. ბატონმა გიორგიმ უკვე თავისი მუშაობის სტილი და მიმართულება კანონის მოთხოვნებს შეუსაბამა და ნაცვლად ცხოველებს დაავადებისა და განადგურებისა, ის ძაღლებს ამოწმებს და ნომრავს, თუ ვინმეს თავისი ძაღლი დაეკარგა და ამას განაცხადებს, შეუძლია ამ ადამიანს 20 დღის განმავლობაში მიაკითხო, თუ და-

ლილი მაწანწალა, ან დაავადებული, მას დაამბნენ, თუ ჯანმრთელია, ისევ დააბრუნებენ ჩვენს მუნიციპალიტეტში ლუქდადებულს”. – გვითხრა ბატონმა მიხეილმა.

ბოლო ხანს ჩვენი ქალაქის ცენტრში ძაღლების მომრავლებას ბატონი მიხეილ ლეჟავა იმ გარემოებით ხსნის,



რომ ევროკავშირის მოთხოვნებიდან გამომდინარე, მეწარმე მოუნდა საქმიანობის უფლების მოპოვებაზე ზრუნვას. მას შემდეგ, რაც მან უფლებები აღიდგინა, ამ დღეებში უკვე ერთი ოპერაცია განახორციელა, რამდენიმე ძაღლი დაიჭირა. “ევროკავშირის სტანდარტების ძაღლების თავშესაფრის აშენებას 400 ლარი სჭირდება, რადგან მუნიციპალიტეტები ამას ვერ ახერხებენ, ოზურგეთელი მეწარმე რამდენიმე მუნიციპალიტეტს ემსახურება, მათ შორის სამტრედიას.

# ჯარისკაცის დღიურიდან

## ეხით მამაცი აღვიძებდა ოციმ-აფხაზეთს

ლევან გაბუნია

ჭირი და ლხინიც ერთი ჰქონდათ ქართველებსა და აფხაზებს, თუმცა, როცა ყველაფერი აირია, ქართველთა გენოციდი განახორციელეს რუსული შოკინიშნით გულმცემულმა აფხაზებმა.

ქვეყნის საყოველთაო გასაჭირი გაითავისეს საქართველოს ამერ-იმერში მცხოვრებმა ქართველებმა და სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგნენ.

ღანიის საჯარო სკოლის დირექტორი, პედაგოგი გონა დანელია ერთი იმ ათგანია, მოხალისედ რომ წავიდნენ ომში, ბატონი გონა პედაგოგების ოჯახში დაიბადა, მშობლები, ბებია-ბაბუა პედაგოგები იყვნენ, მას და მის მეუღლეს, ქალბატონ ლევანას, რომელიც ასევე პედაგოგია, ორი ქალიშვილი თამარი და ნინო ჰყავთ. როგორც აღვნიშნეთ, 1993 წელს გონა დანელია 8 თანასოფელთა ერთად წავიდა აფხაზეთში საბრძოლველად და საკუთარ თავზე გამოსცადა, თავად გახდა თვითმხილველი ომის საშინელებისა.

“დღილით კანტაყუნტად ისმის სროლის ხმა. დაღამებისთანავე სროლები ინტენსიური ხდება. 24:00 საათზე გვიბრძანეს ცეცხლის შეწყვეტა, ცეცხლი შეწყდა, მაგრამ ყურადღება და თვალთვალი გავაძლიერეთ, როგორც იქნა, გათენდა”.

19 მაისი.  
“წუხელ დაგვიჭრეს სამი მებრძოლი, ღამით დაგვიშინეს ტყვიები. სოფელ არაღში მოუკლათ 14 წლის ბიჭი. ჩვენი ბატალიონის ნაწილი არაღს იცავს, ნაწილი მერულას”.

“ღღეს ტანჯიდან ნასროლი ტყვიით სამი მებრძოლი დაგვიჭრეს”. “წუხელ მოგვიკლეს ერთი და დაგვიჭრეს სამი მებრძოლი, ღამით დაგვიჭრეს წასულიყვნენ. ოთხივე ადგილობრივ ბატალიონში ირიცხებოდა”.

8 მაისი.  
“ზურაფო ბიბია ჩამოვიდა ჩემს სანა-



ხადა. ძალიან გამიხარდა. ვერაფერს გაჰყვა და დარჩა. დღილი ფული დამიტოვა და გაეცვიდე”.

25 აპრილი.  
ეს ამონარიდები უკვე სიყვითლე შეპარებული “ჯარისკაცის დღიურიდანაა”, რომელიც აფხაზეთში განვითარებული მოვლენებისას იწერებოდა გონა დანელიას მიერ. მრავალი სულიშემძვრელ ფაქტს, ამბავს გაეცნობა დაინტერესებული ადამიანი დღიურის წაკითხვისას.

ჯერჯერობით აფხაზეთში არ ისმის ქართველი კაცის ომის ხმა. რუსეთის მიერ ოკუპირებულია საქართველოს ძირძველი კუთხე, მშვენიერი აფხაზეთი. საკუთარ სამშობლოში დევნილობაში მყოფმა ასობით ადამიანმა ჩაიტანა სამარეში შინ დაბრუნების აუხდენელი ოცნება, იქ აფხაზეთში კი, რახანია უქართველოდ ბინდდება, აფხაზეთში ნაომარ ვაჟაკებს ისე ახსოვთ, არასოდეს დააუწყებდით აფხაზეთში განვითარებული მოვლენები, აღმოდებული სოხუმი, გადამწვარი გავრა, ფუტყაყრილი ქართველე-

ბი...  
ოჯახური ტრადიციებისადმი ერთგულებით ეზიდება ბატონი გონა დანელია პედაგოგის, დირექტორის როლს და საპატიო ტვირთს სახელოვანი ისტორიის მქონე, ღირსეული თაობების აღმზრდელ ღანიის საჯარო სკოლაში.

პატრიოტული სულიშკვითებით ზრდის თაობებს, საკუთარ შვილებს თავად პატრიოტი კაცი, ოჯახის, მოყვასის კეთილდღეობას, სამშობლოს გამთლიანებასა და აღორძინებას რომ აუვდრებს უფალს.

ამ დღეებში აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ეგადით, უშუალოდ ბატონი დიმა ჯაიანის ინიციატივით, საჯარო სკოლებში აფხაზეთის კვირეულის ჩატარება რეკომენდებული. ამ ფაქტმა გადაგვაწყვეტინა, გაგსაუბრებოდა აფხაზეთის ომგამოვლილ ვაჟაკს ბატონ გონა დანელიას.

ჩვენ გვანსოვს აფხაზეთი!  
ჩვენ შევალთ აფხაზეთში!

# ნიწოზას ბილოცავთ!

“... ქალწული ვაზის ნასხლავს თავის თმებით შეკრავს...”

თითქო ჭრილობა შეუხვია ნასხლავს, რომელიც იცრემლდება.

ჯვარი – ქალის თმებით შეკრული. მიჩვენეთ სხვა სახე – უფრო მწველი და უფრო ლამაზი!

ჯვარი – ვაზის ნასხლავისგან გამოჭრილი.

ჯვარი ქალის თმებით. ქალის თმები ხომ სახეა – ქალობის – ქალწულობის – დელობის!” – წერდა გრიგოლ რობაქიძე.

ეკლესია 27 იანვარს და 1 ივნისს უდიდესი კრძალვით აღნიშნავს ნიწოზას.



დაახლოებით 337 წელს ქართლში ქრისტიანობა დამკვიდრდა, რაც წმინდა ნინოს სახელს უკავშირდება. უფლის მადლით წმინდა ნინო მრავალ სასწაულს აღასრულებდა. სწეულთ ჰკურნავდა. უშვილოებს მშობლობის მადლს აზიარებდა... ხალხმა ღრმად ირწმუნა ერთადერთი ჭეშმარიტი სარწმუნოება ქრისტიანობა და ქრისტეს მოძღვრება. პირველი მეფე მირიანის და დედოფალი ნანა გაქრისტიანდნენ, შემდეგ კი მთელი ქართლი მოექცა ქრისტეს რჯულზე.

წმინდა ნინო აღესრულა ბოდბეში 338 წელს, 27 იანვარს. ნიწოზას ეკლესია წელიწადში ორჯერ აღნიშნავს, 1 ივნისს წმინდანის საქართველოში შემოსვლის დღეა, 27 იანვარი კი აღსასრულის.

...და გაჩნდა საქართველოს ცის კაბადონზე ჯვარი ვაზისა... ქართველებისთვის გამეტებული ღვთისმშობლის მადლი.

მცხეთის ქალაქს მირიანის დედის, ყველგნე ვაჟებს ნიავ ქარსა, იმის მადლი შეგეწიოთ, რაც იქ წირვა-ლოცვა დგასა.

ნიწოზას გილოცავთ!  
ლევან გაბუნია

# მკვლელები კი იფიქრობს საქართველოზე

ნინო ნაგობაძე

საბიბლიოთეკო კვირეულის ფარგლებში სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკამ გამართა საღამო, რომელიც მიუძღვნა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, მარიამ მარჯანიშვილის “ლეო ჭეიშვილის” წიგნის პრეზენტაციას. საღამოზე ბიბლიოთეკის მოწვეული ჰყავდა ავტორი და აქტიური მკითხველები. წიგნის პრეზენტაციას დაესწრნენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები. მწერლის დედა, ქალბატონი ლალი.



საბიბლიოთეკო კვირეული რესპუბლიკის მასშტაბით 2003 წლიდან ტრადიციულად ტარდება. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკა საქმარ აქტიურად ეხმარება ღონისძიებას და მის ფარგლებში არაერთი წიგნის პრეზენტაცია და საინტერესო ადამიანებთან შეხვედრა გამართულა. ამ მხრივ ერთ-ერთი გამორჩეული გახლდათ 2015 წლის მაისში მარიამ მარჯანიშვილის “ლეო ჭეიშვილის” განხილვა. თავისი შემოქმედებით ქუთაისელი ავტორის სამტრედიის მოწვევას ეგმართება პქონდა, რომ ქალბატონი მარიამი დაინტერესდა იმ კაცის ცხოვრებითა და მოღვაწეობით, რომელიც დაიბადა და გაიზარდა სამტრედიის, 21 წლის ასაკში დატოვა ქვეყანა და 64 წელი სამშობლოდან მოშორებით, ემიგრაციაში გაატარა, გერმანიაში, საფრანგეთსა და ამერიკაში. პატარა სამტრედიის ტყვივალამ-

დე ენატრებოდა. არგენტინაში მისმა სხეულმა საბოლოო განსასვენებელი პოვა. რაც შეეხება სულს, მისი ებიბლიოთეკიდან კარგად ჩანს, რომ მისი სული ბოლომდე სამტრედიას ფარვანასავით დასტრიალებდა. ანდერძშიც

ხომ ასე ჰქონდა დაბარებული, ათეული წლების შემდეგ შვილის მიერ მისი მშობლების საფლავებიდან აღებული მიწა გარდაცვალების შემდეგ მის გულზე გადაეყარათ.

ლეო ჭეიშვილის ბავშვობა, ყმაწვილკაცობა, სამშობლოდან წასვლა და შემდეგ თავისი ქვეყნის უსახლვრო ნოსტალგია, ბავშვობის უმნიშვნელო დეტალებიც კი, მათ შორის სასიყვარულო ისტორიები პოეტურად იყო ასახული არგენტინაში მოღვაწე ქართველი მწერლისა და მეცნიერის სამინაო წერილებში, რომლებსაც ლეო სხვადასხვა დროსა და ასაკში საქართველოში მცხოვრებ დებს უგზავნიდა. ლეო ჭეიშვილი 7 დედამამიშვილს შორის ერთადერთი ვაჟი იყო. ამიტომაც უყვარდათ იგი გამორჩეულად დებს და პირიქით, მას – დებს.

მეუღლის ქართველობამ დიდი როლი ითამაშა, ლეოს შვილები და შე-

ილიშვილები ქართულად აღზრდილიყვნენ და ამ ენის სიყვარული ბოლომდე ჰქონოდათ.

საქართველოში, კერძოდ, სამტრედიისა და სამტრედიელების სიყვარულით გაჯერებული წერილები ჩაუვარდა ხელში ახალგაზრდა შემოქმედ ქალბატონს, ქუთაისის მუზეუმის მეცნიერ-მუშაკს. მარიამ მარჯანიშვილმა ლეო ჭეიშვილის დისშვილის, ნანა ყი-



ფიანის ოჯახში ნახა ემიგრანტი ბიძის წერილები, მათ შორის 70 ლექსი, რომელიც სამშობლოზე მონატრებულ კაცს უცხო ქვეყნის მიწაზე დააწერინა.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის ღონისძიება გახსნა და წიგნის მოკლე მიმოხილვა გააკეთა გაზეთ “სამტრედიის მაცნეს” პასუხისმგებელმა მდივანმა, ლევან გაბუნია. ხოლო ამონარიდები წიგნიდან და ლექსები წაკითხულ იქნა მსახიობ მზია ჩხლაძის, მეთოდისტ იზაბელა ლეგ-

აშვილის, მოსწავლეების, ქეთი და მარიამ აბრამიშვილების, შოთა პაპავას მიერ.

ბიბლიოთეკის დარბაზში შეკრებულმა მოსმინეს თბილისიდან საგანგებოდ გამოგზავნილი ლეო ჭეიშვილის ყოფილი მეზობლის, გულიკო სტურუას ემოციური წერილი, რომელიც წაიკითხა მთავარმა ბიბლიოთეკარმა რუსუდან კახიანამ.

სიტყვით გამოვიდა და ძალიან საინტერესო ისტორიები უამბო დარბაზს ჭეიშვილების უახლოესმა მეზობ-

ელმა, თამარ მიქაძემ. ოჯახთან სიახლოვე გაიხსენა ზაირა გრიგოლიამ წერილში, რომელიც იმ დღეს შეკრებილებს ქალბატონი ზაირას ქალიშვილმა, ნინო ტონიამ წაუკითხა.

ავტორის მამართ მადლიერი სიტყვები არ დაიშურა გამგებლის მოადგილემ ლიზა კრავიშვილმა, ემიგრაციაზე დაწერილი, შვილის, ბაჩუკი ჩაბრძის ლექსი დედამ, გულიკო გოგიტიძემ წაიკითხა. მოწვეულ სტუმართა შორის იყო და ემოციური გამოხვედრით დარბაზს თავი დაამახსოვრა

ადამიანმა, რომელიც წლების განმავლობაში ცხოვრობდა უკრაინაში, ხოლო ამჟამად მშობლიურ სამტრედიის დედაქალაქში სტატუსით იმყოფება. ნინო ტონიამ უკრაინიდან წამოღებული ქართული დროშის გამლ-ით ღონისძიებას მოჭარბებული პატრიოტული ელფერი შესძინა. საღამოზე სიტყვით გამოვიდა სამტრედიელი პოეტი დავით ჩირგაძე.

წიგნის პრეზენტაციას ხალხური სიმღერებით მხატვრულად აფორმებდნენ გომის ბიბლიოთეკის აქტიური მკითხველების, სამტრედიის კარგად ცნობილი მოძღვრალი ამალბოლების ოჯახი.

სამკითხველო დარბაზში მოწვობილი იყო გამოფენა, სადაც წარმოდგენილი გახლდათ ემიგრაციის თემზე შექმნილი წიგნები. გამოფენას სათაურად წამდგარებული ჰქონდა შემდეგი სიტყვები: “მელებიც კი ფიქრობს საქართველოზე”.

ღონისძიების მონაწილეებს საშუალება ჰქონდათ, ენახათ ლეო ჭეიშვილის ემიგრაციაში გადაღებული კადრები.

სალამოს დასასრულს სიტყვა მიცეს თავად წიგნის ავტორს. მარიამ მარჯანიშვილმა მადლობა გადაუხადა სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკას და მკითხველებს მისი წიგნის პროულარიზაციისათვის და იმ სიყვარულისათვის, რაც ასე ლამაზად იყო გამოხატული ღონისძიების მომზადებასა და მსვლელობაში.

# შეიგანე მუნი ნეტოი

## თბა გაგუნაუზი

ახალგაზრდა რეინიგებლები მათ მიერ შექმნილი ასოციაციის ფარგლებში ქველმოქმედების მართონში ემბებან. ამჯერად აქციას, რომელიც ძირითადად მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს მიეძღვნა, სათავე დედაქალაქში დაედო. მას მხარი ორგანიზაციის სამტრედიულმა ფრთამ აუბა. სამტრედიულმა ახალგაზრდა რეინიგებლებმა მეთხუთმეტე სკოლა-პანსიონის აღსაზრდელები მონაბხულეს. რთული ქცევის ბავშვები, რომლებიც აქ არიან თავმოყრილი, სპორტული ფეხსაცმლითა და ინვენტარით დაასაჩუქრეს. ცხელიში კი, ასოციაციის იქაურმა წევრებმა ჩვილ ბავშვთა სახლს, მორასე სკოლა-პანსიონსა და ლომისის ტაძრის მფარველობაში არსებულ ბავშვთა თავშესაფრის აღსაზრდელებს სათამაშოები, ტექნიკური და ტანსაცმელი გადასცეს.

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ "საქართველოს ახალგაზრდა რეინიგებელთა ასოციაციამ", სოციალური ქსელის მეშვეობით, თხოვნით მიმართა რეინიგებლებს, ტექნიკური უნივერსიტეტის სარეინიგებო მიმართულების სტუდენტებს, თა-

ვიანთი, თუნდაც, მოგრძობული წვლილი შეეტანათ ამ საქველმოქმედო აქციაში.

საქართველოს რეინიგებელთა ასოციაციის დასავლეთის რეგიონის თავმჯდომარე ირაკლი ტორონჯაძე მეთხუთმეტე სკოლაში სტუმრობისას აცხადებდა, რომ 2012 წლიდან, ანუ იმ დროიდან მოყოლებული, რაც ორგანიზაცია შეიქმნა, არაერთი კარგი საქმის ინიციატორები უკვე არიან. ახალგაზრდებს თავიანთი იდეების რეალურად განხორციელების სურვილი აქვთ. რაც მთავარია, ისინი რეინიგების ახლებურ რესურსზე გადაყვანას, ამ სფეროს წინსვლას უწყობს ხელს. სხვა მრავალთან ერთად, ორგანიზაცია რეინიგებლების ცოდნის გაღრმავებას ცდილობს. საგანმანათლებლო კუთხით არაერთ აქტიუობას ახორციელებს. ამჯერადაც, თბილისში, ბათუმსა და სამტრედიოში ფუნქციონირებს კურსები, სადაც რეინიგებმა დასაქმებულ ახალგაზრდებს და არა მარტო ისინი, ყველა მსურველი რეინიგებელი ასაკის მიუხედავად, უფასოდ სწავლობენ რუსულსა და ინგლისურ ენებს. ცოტა ხნის წინ სამტრედიოში დასავლეთის რეგიონალური ორ-

განიზაციის მიერ დასუფთავების აქციაც მოეწყო.

რაც შეეხება იმდღევანდელ აქციას, როგორც ირაკლი ტორონჯაძემ აღნიშნა, "სამომავლოდ არ გავწყვეტთ ურთიერთობას ამ ბავშვებთან, ვიმეგობრებთ მათთან. ახლაც მოეუტანეთ კალათბურთის, ფრენბურთის, ფეხბურთის ბურთები, ტენისის, ბადმინტონის ჩოგნები. დღეს ბურთს ერთად გავაგორებთ. ჩვენი ასოციაციის, რომლის თავმჯდომარეც ლევან ლომსაძე გახლავთ, სურვილია, თანადგომა ვაგრძობინოთ მათ, ვისაც ეს სჭირდება."

ახალგაზრდა რეინიგებელთა ასოციაციის გამგეობის წევრმა, სულეო კუბაბრამ ირაკლი ტორონჯაძის მსგავსად ხაზი გაუსვა, რომ ამგვარი აქციები პერმანენტულ ხასიათს მიიღებს. "მზანი გახლავთ ის, რომ ადაპტაცია საზოგადოებასთან გაუადვილდეთ ამ ბავშვებს. გვინდა, მათთან ურთიერთობები გავაღრმავოთ როგორც უფროსმა მეგობრებმა." ამის კონსტრუქციები იმ დღეს გამოიყენეთა კიდევ. ფეხბურთი და კალათბურთი ის თამაშები გამოდგა, კომპლექსები მალევე რომ მოხსნა და ურთიერთობა



მეგობრობისკენ წაიყვანა.

ამანათი, რომელიც საქართველოს რეინიგების ემბლემით დამუშავებულ ჩანთებში იდო, ასოციაციის წევრებთან ერთად ოთხი წლის საბავშვო ბავშვებში მიიტანა იმ დღეს მეთხუთმეტე სკოლაში. ჯერჯერობით, მართალია, ახალგაზრდა რეინიგებლის შვილის სტატუსით

წევია აქაურობას, მაგრამ მორცხვად დაგვირდა, რომ გავიზრდები, მეც რეინიგული ვიქნებიო. ქველმოქმედებას უკვე აჩვევენი საბავშვო ახალგაზრდა რეინიგებლები, მამების თაობიდან შვილები რომ მოგვევლინონ საქმის გამგრძელებლებად.

# საქართველოს აქტიური მოქალაქეების მხარდაჭერის პროგრამის დასრულება

საქართველოს დიდი და მდიდარი ტრადიციების მქონე სოფლის მეურნეობა აქვს. სოფლის მეურნეობის სპეციფიკის თავისებურებით იგი მსოფლიო მნიშვნელობის რეგიონია.

საქართველო წარმოადგენს ხორბლისა და ვაზის ერთ-ერთ სამშობლოს და აკვანს. მიწნეულია, რომ ვაზი ქართული ფენომენის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. მისი ძალა გამოვლინდა ქართულ ქრისტიანობაშიც, რასაც აღსაზრდელებს და განსაზღვრავს ის, რომ ქართველი ხალხი ჯვარს ვაზისგან ამზადებდა და აღიარებდა რწმენის სიმბოლოდ. გასული საუკუნის დასაწყისში საქართველოში მარცვლული კულტურები, მევენახეობა, მეხილეობა, საკვებწარმოება, მეცხოველეობის დარგებიდან მთისა და ბარის მესაქონლეობა, მეკამეჩეობა, მეცხვარეობა, მელირეობა, ლოკალური მფერინველეობა, დასავლეთ საქართველოს უნიკალური ნიადაგური კლიმატურ პირობებს კარგად მოერგო სუბტროპიკული მიწათმოქმედება და წარმატებით განვითარდა მანამდე უცხო კულტურების, ჩაის, ციტრუსების, სუბტროპიკული წილი. საქართველოში შემოტანილი იქნა სიმინდი, სპორტოფილი, პომიდორი, თამბაქო, სხვადასხვა ჯიშის პირუტყვი და ფრინველი. საქართველო მეტად მცირეწიანი ქვეყანაა და აქედან გამომდინარე, უფრო მეტი ეფექტიანობითაა აუცილებელი სოფლის მეურნეობის სახელმწიფო მართვა.

ასწლეულის მანძილზე სასოფლო-სამეურნეო წარმოებას თვითმარი ხასიათი ჰქონდა და როგორც დიდი ილია აღნიშნავდა: "მანამ ქვეყანას ჰკავდა და ჰკვირს მომთხოვია ჰკავდა, ჩვენ მიწა-წყალს ჩვენთვის სარჩო-საბადო(ებელი არ დაჰკლებია". განსაკუთრებით საგანგაშოა ის მდგომარეობა, რომელშიც საქართველოს სოფლის მეურნეობა, დღეს იმყოფება. იბადება კითხვა: "კვდება თუ არა სოფლის მეურნეობა საქართველოში?" დღესაც მთელი სოფლის მეურნეობები შეადგენენ მთელი მოსახლეობის 47%. სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია ქვეყნის ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის ნახევარზე მეტი.

საქართველოში დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე იყო ასეულობით კოლმეურნეობა, მეურნეობები, ამ კოლმეურნეობებსა და მეურნეობებში მოწვეული ნედლეულის გადამამუშავებელი საწარმოები. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ მთლიანად განადგურდა კოლმეურნეობები, მეურნეობები და გადამამუშავებელი საწარმოები. წარმოებების დაწესების შემდეგ ისინი გატანილი იქნა საზღვარგარეთ ჯვართის სახით.

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის საერთაშორისო ორგანიზაციის (ფაო) მონაცემებით 2003-2005 წლებთან შედარებით 2007-2009 წლებში მარცვლულის წარმოება საქართველოში 40%-ით შემცირდა. საქართველოს ხორბლის თვითმზრუნველყოფის კოეფიციენტი 2003 წელს 28,9% იყო, 2009 წლისათვის 6,7%-

ით შემცირდა. ბოლო ათწლეული წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად შემცირდა როგორც წვრილფეხა, ასევე მსხვილფეხა პირუტყვის სულალობა.

2003-2009 წლებში საქართველოში ერთ სულზე სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ინდექსი შემცირდა 29%-ით. ეს მსოფლიოს 194 ქვეყანას შორის ყველაზე ცუდი მაჩვენებელია.

სოფლის მეურნეობის განვითარების მიზნით, ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ჩაიდო 700 მლნ ლარი თვით პირადად პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის მიერ. ეს და სხვა კრედიტები, რომელიც განკუთვნილია სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის ნაკლებად ხელმისაწვდომია თითოეული ფერმერისა და გლეხისათვის. ის კრედიტები, რომელიც "აიფი კრედიტის" სახით არის ცნობილი, მიუწვდომელია გლეხებისა და ფერმერებისათვის, რადგან მისი გაცემა ხდება ბანკების მეშვეობით, რომლებიც თხოვენ ორი-სამჯერ მეტ გარანტიას, ვიდრე გაცემულ კრედიტებზე. ამის შესაძლებლობა გლეხებს არ გააჩნია და ამის გამო სარგებლობენ ბანკები, ვიდრე გლეხები და ფერმერები. პირადად ჩემი განგარანებით ბანკები მდიდრდებიან 70-80 მილიონით. ამის შესახებ პირადად გადავეცი ფოფოლ პრემიერს, ბიძინა ივანიშვილს ჩემი მოსაზრებები, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო, ჩემი ეჭვი, მის გარშემო აღმანიშნებს არ აინტერესებს ქვეყნის განვითარება.

2013 წლის განმავლობაში საქართველოდან ექსპორტირებულია 74,3 მლნ აშშ დოლარის ღირებულების აგროსასურსათო პროდუქცია. აღნიშნულ პერიოდში ქვეყნის მთლიან ექსპორტში აგროსასურსათო პროდუქციის ხვედრითი წონა 26,6%-ს შეადგენს. ძირითადად ექსპორტირებულია თხილი (21,5%), ღვინო (16,5%), მინერალური მტკნარი წყლები (13,8%), სპირტიანი სასმელები (12,9%), ხორბალი (6,2%), მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი (6,1%), ციტრუსი (2, 6%).

2012 წელთან შედარებით 2013 წელს აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტი გაზრდილია 51,1%-ით, რაოდენობების მიხედვით მნიშვნელოვნად არის გაზრდილი: ყურძნის ნატურალური ღვინოების ექსპორტი 77,6%-ით გაიზარდა და შეადგინა 35,9 მლნ ლიტრი. ზრდა ძირითადად გამოწვეულია რუსეთის ბაზრის გახსნით. ზეპირი დეკლარაციების საფუძველზე დამატებით ექსპორტირებულია 1,8 ათასი ლიტრი ყურძნის ნატურალური ღვინოები.

მინერალური და მტკნარი წყლების ექსპორტი 44,2%-ით გაიზარდა და შეადგინა 127,8 მლნ ლიტრი, რაც ასევე გამოწვეულია რუსეთის ბაზარზე ექსპორტირებული რაოდენობის ზრდით, ზეპირი დეკლარაციების საფუძველზე დამატებით ექსპორტირებულია 159,8 ათასი ლიტრი მინერალური და მტკნარი წყლები.

ცოცხალი მსხვილფეხა პირუტყვის ექსპორტი 47,8%-ით გაიზარდა და შეადგინა 109,4 ათასი სული ცოცხალი ცხვრისა

და თხის ექსპორტი - 10, 8%-ით გაიზარდა და შეადგინა 191, 4 ათასი სული. სიმინდის ექსპორტი 74%-ით გაიზარდა და შეადგინა 40,0 ათასი ტონა, რაც გამოიწვია სომხეთში სიმინდის ექსპორტის ზრდაც 21,3-დან 39,5 ათას ტონამდე. ევროკავშირის ქვეყნებთან აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტის მიხედვით. საქართველოს ძირითადი სავაჭრო პარტნიორია გერმანია, სადაც ექსპორტირებულია ვაშლის კონცენტრატი, ჩაი და ა. შ.

2013 წლის მანძილზე საქართველოს აგროსასურსათო პროდუქტების ექსპორტის მიხედვით სავაჭრო ურთიერთობები ჰქონდა 77 ქვეყანასთან. ძირითადად სავაჭრო პარტნიორები აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტის მიხედვით არიან უკრაინა, რუსეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, ყაზახეთი, გერმანია, ბელარუსია, საფრანგეთი, თურქეთი, იტალია და ლიტვა. აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტში აღნიშნული ქვეყნების ჯამური წილი 85%-ს შეადგენს. 2013 წლის მანძილზე საქართველოში იმპორტირებულია 1, 291, 6 მლნ აშშ დოლარის ღირებულების აგროსასურსათო პროდუქცია, ქვეყნის მთლიან იმპორტში აგროსასურსათო პროდუქციის ხვედრითი წონა 16,4% შეადგენს. ძირითადად იმპორტირებულია ხორბალი (4%), სიგარეტი (7%), შინაური ფრინველის ხორცი (6%), შოკოლადი (5%), მცენარეული ზეთი (4%), სპირტიანი სასმელები (4%), თევზი (3%), ღორის ხორცი (3%), საკონდიტრო ნაწარმი (3%) და სხვა.

2012 წელთან შედარებით 2013 წელს აგროსასურსათო პროდუქციის იმპორტი გაზრდილია 1,4%-ით, რაოდენობების მიხედვით მნიშვნელოვნად არის გაზრდილი: სპირტიანი სასმელების იმპორტი 62,3%-ით, გაყვანილი თევზის იმპორტი 11,6%-ით, ღორის ხორცის იმპორტი 22,5%-ით, სიმინდის იმპორტი გაიზარდა 23 ათასი ტონიდან 56,2 ათას ტონამდე.

2013 წლის მანძილზე საქართველოს აგროსასურსათო პროდუქტების იმპორტის მიხედვით სავაჭრო ურთიერთობები ჰქონდა 99 ქვეყანასთან. ძირითადი სავაჭრო პარტნიორები არიან რუსეთი, უკრაინა, თურქეთი, ბრაზილია, ყაზახეთი, აშშ, გერმანია, აზერბაიჯანი, სომხეთი. აღნიშნული ქვეყნების ჯამური წილი მთლიან იმპორტში 75%-ს შეადგენს. უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა საქართველოს საგარეო ვაჭრობის მოცულობა. საგარეო სავაჭრო ბრუნვა (არაორგანიზებული ვაჭრობის გამოკლებით) ბოლო წლებში 1,032,0 დოლარიდან 6,678,5 მლნ დოლარამდე, ანუ 5-ჯერ მეტად გაიზარდა, ხოლო საგარეო საქონელბრუნვის მოცულობაში ექსპორტის წილი 4-ჯერ ჩამორჩება იმპორტის წილს.

საქართველოში სასოფლო-სამეურნეო მიწების მონხული ფართობი ყოველწლიურად იზრდება ოპერატიული მონაცემებით, შემოღობვა-განაფიქსირება 412 ათასი ჰექტარი მიწა დამუშავდა, რაც 5000 ჰექტრით მეტია 2013 წელზე, სულ 108

ათასი ჰექტრით 2012 წელზე.

მთავრობა ტრანსპარენტობის, რომ ნათესების დიდი წილი ხორბალს უკავია, მაგრამ ისინი ყურადღებას არ აქცევენ დელოლისწარმომის მოსახლეობას, სადაც პურის ნათესები ფაქტობრივად უწყველობის გამო მთლიანად ფაქტობრივად უწყველობის გამო მთლიანად განადგურდა, გლეხები და ფერმერები სასოფარვეთილებში არიან, რადგან მათ დარჩათ ბანკის ვალები. კარგი ინიციატივით გამოვიდა მიმდინარე წლის მაისში ფურნალისტებთან შეხვედრისას ქვეყნის პრემიერი ირაკლი ღარიბაშვილი - "ასწარმოე საქართველოში". ჩამოთვლილი მთელი რიგი დარგები, აბრეშუქის წარმოება, მატყლის გადამამუშავება, ელექტროტექნიკური მოწყობილობების წარმოება, ტყავის წარმოება, ინოვაციური პროექტების განხორციელება. ამასთან, დაპირდა მოქმედ და დამწყებ მწარმოებებს მიწებისა და შენობა-ნაგებობების გადამ-

ას სიმბოლურ ფასად, ერთ ლარად, მაგრამ კეთილ და კარგ წამოწყებას არამიზნობრივად, არაკეთილსინდისიერად ახორციელებს ეკონომიკის მდგრადი განვითარების სამინისტრო, სოფლის მეურნეობის სამინისტრო და ა. შ. ეს სამინისტროები ხალხს აგნავენან ბანკებში, სადაც ვერ ხერხდება წარდგენილი პროექტების დაფინანსება. აქ ვხვდავ ნეპოტიზმს და ქვეყნის, პირადად პრემიერის წინააღმდეგ მიმართულ მოქმედებებს. 2014 წლის 27 ივნისს ხელი მოეწერა ევროკავშირთან ასოციირების ხელშეკრულებას, თითქოს გაიხსნა 500 მილიონიანი ბაზარი, მაგრამ ეს ვერაფერი ნუგეშობა ჩვენი ქვეყნისთვის. ახლა მანც გათვალისწინოთ ჩვენი პატრიარქის ილია მორის შეგონებანი მიწის გაყიდვასთან დაკავშირებით.

რამაზ უსუნუნიძე

# საქართველოს რადიო იუბილარია

დღევანდელ თაობებს თითქმის არც კი უნახავთ ყველა ოჯახში ერთობ პოპულარული რადიო, მაუწყებლობის ალიონზე რომ იწყებდა და გვიან დამით წვევტდა.

უკვე ისტორიად ქცეულმა ფილმებმა შემოგვინახეს სოფლის ცენტრში ხეზე ან ბოძზე მიმაგრებული ვეებერთელა რადიო, რომელიც ყველა მნიშვნელოვან ამბავს გადმოსცემდა და მასების ინფორმირების ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენდა.

საუბრები მედიცინაზე, კულტურაზე, თეატრზე, ფეხბურთის მატჩების რადიო ტრანსლაცია, შეხვედრები წარმოების, სოფლის მეურნეობის მოწინავეებთან, მეცნიერთან, გასართობ-შემეცნებითი, საბავშვო გადაცემები... მრავალმხრივ საქმიანობას ეწეოდა საქართველოს რადიო, რომელიც უწყვეტრად საქართველოს ტელევიზიისა და რადიომუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის დაქვემდებარებაში შედიოდა.


ტექნიკის არნახულმა განვითარებამ, ვიდრე და აუღიო ტექნიკამ რადიოს დამსახურებული "დასვენების უფლება მისცა" და მისი ადგილი დაიკავა. სამაგიეროდ, ოქროს ფონდის კუთვნილებაა ცნობილ ერისკაცთა, მეცნიერთა ხმების ჩანაწერები, რადიოინტერვიუები.

არაერთხელ აღგვინიშნავს, რომ გასული საუკუნის 60-იან, 80-იან წლებში საქართველოში ჩქეფდა კულტურული ცხოვრება. სამტრედიო ხშირად მასინძობდა ლიტერატურის, ხელოვნების, მედიცინის, სპორტის... თვალსაჩინო წარმომადგენლებს, რაც სახალხო, საყოვეთაო ზეიმად იქცეოდა ხოლმე მთელი რაიონისათვის.

ფოტოზე, რომელიც ჩვენი განვითარებული ფოტოკორესპონდენტის, ბატონ რომან ბეჭაიას მიერაა გადაღებული გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში, აღბეჭდვინი არიან საქართველოს რადიოს ფუძემდებლები და პირველი დირექტორები: ლევან ვაგლაშვილი, ქეთო ლანდია, მერი მიქელაძე სამტრედიოში სტუმრობისას.

ამ დღეებში საქართველოს რადიო 90 წლის იუბილეს აღნიშნავს. ისტორიული ფოტოს გამოქვეყნებაც ამ ფაქტმა განაპირობა.

რამაზ უსუნუნიძე





# “აისის” წარმაცვებელი მაისი

## ლეკა გავაჩინა

მარიამ თარხნიშვილის, ფილიმონ ქორიძის, ძუკუ ლოლუას, არტემ ერქომიშვილის... სამშობლოში ქართული ფოლკლორისადმი პატივისცემით ვერავის გაგვიკვირებთ, სასიამოვნოა, რომ მომავალი თაობა იზრდება წინა თაობების ტრადიციებზე.

დიდი ხანია, სოფელ დიდი ჯიხაშის სახელოვნებო სკოლის ფოლკლორული ანსამბლი “აისი”, ხელმძღვანელი, პედაგოგი შორენა რაზმაძე, წარმატებით გამოდის პრესტიჟულ ფესტივალებზე და კომპეტენტური ჟიურის მოწონებასაც იმსახურებს. სახელოვნებო სკოლაში (დირექტორი ლეილა შოშიაშვილი) ყველა პრობაა შექმნილი მუშაობისთვის.

“ანსამბლი უკვე მეხუთე წელია არსებობს, დროის ამ მონაკვეთში არა ერთხელ გვისახელებია სკოლა, რაიონი, მიმდინარე წლის მაისი განსაკუთრებით წარმატებული იყო “აისელებისთვის”, მონაწილეობა მივიღეთ საქართველოში მცხოვრებ ხალხთა კულტურისა და ფოლკლორის განვითარების კავშირის (თავმჯდომარე დავით წულუკიძე) ეგიდით ჩატარებულ ფესტივალში. “აისი” ორი სი-

მღერით წარსდგა ჟიურისა და მსმენელთა წინაშე. ხალხური “კაკასიონი”, “სიმღერა ჯიხაშზე”. (ტექსტი ლევან გაბეჩავასი, მუსიკა მზია ჯინჭვალაშვილისა) ანსამბლის წევრებმა ჩინებულად შესარულეს, შესაბამისად საპატიო დიპლო-



მომი და მედლებიც დაიმსახურეს”. გახსენდება “სამტრედიის მაცნეს” ანსამბლის ხელმძღვანელმა შორენა რაზმაძემ. დასავლეთ საქართველოს მეორე რეგიონალური მუსიკალური ფესტივალის საპატიო დიპლომი, აჭარის ავტონომი-

ური რესპუბლიკის მუსიკოსთა და ფოლკლორისტთა საზოგადოების მიერ ორგანიზებულ ფესტივალ-კონკურსში “ოქროს დღეფინი” მონაწილეობისათვის დიპლომი, პირველი ხარისხის მედლები... ნაწილია სხვადასხვა დროს “აისელთა”

მეორე მოპოვებული ჯილდოებისა. 25 მაისს კი “აისის” ხელმძღვანელს დასავლეთ საქართველოს III რეგიონალური მუსიკალური ფესტივალ 2015 საპატიო დიპლომი გადასცეს, რომელსაც ხელს ხელოვნების აკადემიის გენერალურ-



რი დირექტორი ვალერიან შიუკაშვილი აწერს. ეს “აისის” კიდევ ერთი წარმატებაა.

უკვე მიღწეული ახალი მწვერვალისაკენ უბიძგებთ ანსამბლის წევრებსა და მათ ხელმძღვანელს, რომელთაც არც მონდობა აკლიათ და არც ინტერესი სამომავლოდ, რომ ეროვნული ფოლკლორის განვითარებისა და პოპულარიზაციის საქმეში საკუთარი წვლილი შეიტანონ. მონაწილეობის მიღება დედაქალაქში ჩასატარებელ ფოლკლორულ ფესტივალზე, გამოსვლა “არტ-გენზე” და

ა.შ. “აისელების” სამომავლო ოცნებაა, რომლის სისრულეში მოყვანასაც დამატებითი ფინანსები, მეცენატების, ქველმოქმედების თანადგომა და ისევე და ისევე მუხლჩაუდგამი შრომა სჭირდება... ჩვენი მხრივ დავსძენთ, რომ “აისელებზე” თანადგომა სხვა არაფერია, თუ არა ეროვნულ საქმეში წვლილის შეტანა. კიდევ ერთ აღიარებას ვულოცავთ ფოლკლორულ ანსამბლ “აისს”, მის ხელმძღვანელს შორენა რაზმაძეს, ვიმედოვნებთ, მათ მიღწევებზე ხშირად მოგიხვევს წერა.

# ნიჭის და შიომისმოყვარეობის გამო

## თია გავაჩინა

ბაზი, მასნე, ბონი, ვიგალი, თაქთაქიშვილი, არუთუნიანი – საბუნდო სკოლის საკონცერტო და-რბაზი უკვე მერამდღე უსმენდა ბეჭერბად დაღვრილ პანეებს. საუკუნეზე მეტია ამ შერბაში შანიძეების მონღომებით საბუნდო სკოლა არსებობს. სიმბაზიანი საკონცერტების კლასი კი, ყველა სამტრედიისთვის კარგად ცნობილი ოთარ შანიძის შემდეგ, მისმა ქალიშვილმა, ირმა შანიძემ აჯადოინა, როცა მამის ესტაფეტა გადმოიბარა.

ამ კონცერტზე ვილონჩელი-

## ნიჭი ასრულებდა მარიამ თევზაძე საკმაოდ რთულ რეპერტუარს.

ნიჭიერი და წარმატებული მოსწავლეების ნაკლებობას არასდროს უჩიოდა ეს სასწავლებელი. მე-7 კლასელ მარიამ თევზაძესაც არაერთი ჯილდო დაუმსახურებია ჯერ ისევე სამუსიკო სკოლაში სწავლის პერიოდში. იგი ანაკლიაში 2012 წელს გამართული კონკურსის “ნორჩი მუსიკოსები” ლაურეატი და მესამე ხარისხის დიპლომის მფლობელია, ნომინაციაში “საუკეთესო საშემსრულებლო ოსტატობისთვის”. კლასიკური მუსიკის საემპროვიზო ფესტივალზე “დღეფინადა – 2012” პირველი ხარისხის დიპლომი, “დღეფინადა – 2013”-ზე კი, გრან-პრი ერგო. კონკურსში, “ხელოვნების მომავლისთვის – 2013”, ლაურეატის წოდება და დიპლომი ხვდა წილად. ხელოვნ-

ების აკადემიის მეორე რეგიონალურ ფესტივალზე, გასულ წელს, სპეციალური სიგელით დააჯილდოვეს, “გზა ხელოვნებისკენ – 2015”-ში კი, მეორე ხარისხის დიპლომი. მარიამ თევზაძე ქუთაისის ოპერის თეატრის ორკესტრის სოლისტის, მაყვალა სანიციის კლასის მოსწავლეა. “ნიჭიერი და შიომისმოყვარე – ეს არის ის თვისებები, რომლებიც მარიამს დაეხმარა სამ წელიწადში მის ასაკში დიდი წარმატებებისთვის მიეღწია. იგი ძალიან მონდომებულია, უყვარს ის საქმე, რომელსაც შეეცადა. დარწმუნებული ვარ, სახელოვანი კარიერა ექნება.” – ასეთი აზრისაა მასზე პედაგოგი. მარიამი კი ამბობს, რომ ვერც წარმოუდგენია, იცხოვროს ამ ინსტრუმენტის გარეშე. მადლობას უხდის საკუთარ პედაგოგებს. თვლის, რომ მისი წარმატ-



ებები მათი დამსახურებაა. კონცერტის დასრულების შემდეგ ნორჩი ვილონჩელისტზე პროფესიონალითა და საუბრობდნენ. ქუთაისის კონსერვატორიის ლექტორი რუსუდან ლორთქიფანიძე, სიმფონიური ორკესტრის დირექტორი დიმიტრი იამანიძე, ორკესტრის

დირიჟორი ნოდარ ჯავახიშვილი ერთხმად აღნიშნავენ, რომ სამტრედიის დომენტი შანიძის სახელობის სამუსიკო სკოლის აღზრდილ მარიამ თევზაძის სახით ქართული მუსიკალური ხელოვნება ნიჭიერი და წარმატებულ შემსრულებელს შეიძენს.

# “შენი ივერი აფხდგეს ძღიეში...”

## ნათია გავაჩინა

როცა მე-2 სკოლაში ისტორიკოსი ქალბატონი, ნატო ჯამბურია სასკოლო ღონისძიებებზე გვეპატრებება, ყოველთვის გვაქვს რაღაც შინაარსიანის, საინტერესოს ნახვის მოლოდინი და ვინწყობა. პედაგოგმა და მისმა მოსწავლეებმა ამჯერადაც არ გავაჩინა. 14 მაისი თამარ მეფის ხსენების დღეა, ამიტომაც სასწავლო წლის მიწურულს პედაგოგმა ღონისძიება უდიდეს ქართულ მეფე-ქალს, თამარს და მის ეპოქას მიუძღვნა.

“საქართველოს დიდება მეფე თამარი” – ამ სახელწოდებით წარმოადგინეს მე-9, მე-7 და მე-2 კლასის მოსწავლეებმა საინტერესო ისტორიული ლიტერატურული სპექტაკლი. განსაკუთრებულად ფასობს ყველა ისეთი სასკოლო ღონისძიება, სადაც მოსწავლეები ნებისმიერ საგანში ცოდნას ზეპირად გადმოსცემენ და ფურცლებს არ აშრიანებენ. არაერთხელ შეგვიქია ასეთი უფურცლო ღონისძიებები. ეს სკოლა ამ სასიყვარულო მახასიათებლითაც იქცევა ჩვენს ყურადღებას. ეს აქ ტრადიციად და ამის გამო უდავოდ იმსახურებს პატივისცემას.

მოსწავლეებმა შესანიშნავად მიმოიხილეს ეპოქა, თქვა, რომ წინასწარ და-

იჭირა თადარიგი მეფე გიორგი მერვემ და მეცამეტე წელს გადამდგარი ასული თანამოსაყდრედ გაიხადა. მამის 28 წლიანი მეფობის შემდეგ, მრავალი ხალხით დასახლებულ კავკასიელთა “იმპერია” სამართავად დარჩა 18 წლის მეფე თამარს.

მეფე-ქალის სიბრძნე და გონიერება პირველად მამინ გამოჩნდა, როცა საომრად გამზადებულ მოქიშპე თავადებს, რომელთაც მეფის უფლებების შეზღუდვა უნდოდათ, მოულოდნელად მოლაპარაკება შესთავაზა, აღუთქვა სამეფო და-

სწორედ ამ უნუგემო სიყვარულმა გადახვეწა პალატაში რუსთველი. თამარის მიერ მოგებული დიდი ომების, შამქორისა და ბასიანის ისტორიაც შთამბეჭდავად გადმოსცეს. გაიხსენეს, თუ როგორ ლოცავდა ბრძოლის წინ მეფე-ქალი ჯარს, დროშასა და ხმაღს. რუქნადინმა 400 000-იანი ლაშქარი შეკრიბა და თამარს მოციქული აახლა წერილით: “უკეთუ მეფემან თქვენმან დაუტევოს სჯული, იპყრას სულითანა ცოლად და უკეთუ არა დაუტევოს სჯული, იყოს ხარჭად სულითისა”. მოსწავლეებ-



ოდ ქართველებს შეეძლოთ იერუსალიმში გაშლილი დროშებით შესვლა. მზრუნველს ტამარსა და ეკლესიათა სამამაცო საქმენიც უყვარდა: მშვილდოსან-მახვილოსნობა, ნადირობა, ჯირითობა, მხედრობა, საქვეყნო და სამამაცო საქმეთა პარალელურად “სადიაცო” საქმეებსაც შესანიშნავად უძღვებოდა. იქნებოდა ეს მატყლის ჩეჩვა, მათის რთვა, ქსოვა, ბეჭდვა, ჭრა-კერვა, ქსოვა-კემსვა. ნაქსოვს თუ ნაკერავს უკავშირდება მისი საფლავის ისტორიას: “ცხრა კუბო გამოიტანეს, ცხრა მხარეს მიაქეთ ცხედარი, მანც ვერავინ გაიგო, რომელში იყო თამარი...”

გრიგოლ ორბელიანის “თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში” ასევე ემოციურად წაიფიქრეს, პატრიოტული შინაარსის სიმღერები და ქართული ცეკვებიც ურთიერთს შესანიშნავად შეერწყა. “თამარის სახე დაღესაც ამხნევეს და წინსვლისაკენ მოუწოდებს ქართველ ხალხს და ოცნებობს ისეთ საქართველოზე, რომლის მეფეც ატარებს “აფხანთა, ქართველთა, რანთა და კახთა” მეფის ტიტულს. ვისურვებდით დავითისა და თამარის დროინდელი ტერიტორიების აღდგენას, ჩვენი საყვარელი საქართველოს გამოღიანებას!” – ასეთი მოწოდებით დაასრულეს ღონისძიება. სკოლის დირექტორმა, თეა კარტოზიამ მადლობა გადაუხადა პედაგოგსა და მოსწავლეებს და აღნიშნა, რომ სკოლაში შინაარსიანი და საუკეთესო ღონისძიებების ტრადიცია არ მოიშლება.



რბაზის უფლებათა გაფართოება. სწორედ ასე დაამოშინა ამბოხებულნი. ახსენეს მეფის უიღბლო ქორწინება ჩრდილოელ ფეოდალთან, არც უმცვენიერეს ლეგენდად შემორჩენილი რუსთველისა და თამარის სიყვარულის ისტორია დავიწყნით. ერთი ვერსიით, ხომ

მა განსაკუთრებულად გაუსვენს ხაზი იმას, თუ როგორ დაიცვა ზაქარია მხარგრძელმა მეფის ღირსება და სილა გააწინა ამ სიტყვების მომტანი სულითის ელჩს. ძლიერების მწვერვალზე აიყვანა ქვეყანა თამარმა, ქრისტიანთაგან მხოლო-

“მაგრამ რჩენა აპაღებდა რაოდენს...”

1 ივნისი საქართველოში წმინდა ნინოს შემობრძანების და ბავშვთა დაცვის დღეა. სწორედ წმინდა ნინოს მიერ გაწეულ ღვაწლს მიეძღვნა მეოთხეკლასელების ღონისძიება მე-10 საჯარო სკოლაში სახელწოდებით “ენა, მამული, სარწმუნოება”.

პედაგოგმა ნესტან აბალობელმა უდავოდ დიდი შრომა გასწია, რომ მის მოსწავლეებს, სტიქიური შემოსილ მე-4 პირველ კლასელებს ლექსად მოეთხროთ წარმართულ საქართველოში ქრისტიანობის შემოსვლის და ქვეყნის გაქრისტიანების ისტორია. ენერჯული, ნიჭიერი, ქრისტიანული სათნოებით შემყული პატარები საინტერესოდ მოგვიხრობდნენ ჩვენი სამი ღვთაებრივი საუნჯის: ენის, მამულისა და სარწმუნოების

განყოფილების შესახებ. პატარებმა შესანიშნავად იგალობეს, ბრწყინვალედ წაიკითხეს ანა კალანდაძის ლექსი “მოდოდა ნინო მთებში”. ლექსად იამბეს, თუ როგორ იხილა წარმართულ ეპოქაში მირიან მეფემ თხოთის მთაზე სასწაული და როგორ ირწმუნა ქრისტე ღმერთი. თუ როგორ გააქრისტიანა დედოფალი ნანა კაბადოკიდან წამოსულმა ქალწულმა ნინომ. საქართველოს ძლიერება მის სულიერ სიმტკიცესა და ერთიანობაშია, მიიჩნევენ პატარები.

ნესტან მასწავლებელმა კი ღონისძიების დასაწყისშივე აღნიშნა, რომ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნის გარდა სკოლაში მოსწავლეებს რელიგიური განათლებაც უნდა



მისცეს და მათ სულიერ განვითარებაზეც იზრუნოს. ამ ჭეშმარიტებაში მართლაც დაგვარწმუნეს მისმა მოსწავლეებმა.

წმინდა ნინოსადმი მიძღვნილი საერთაშორისო ლექსი წაიკითხა ღონისძიების ბოლოს პედაგოგმა დალი ღამბაშიძემ.

პედაგოგისა და მოსწავლეების გაწეული შრომა ჯეროვნად შეაფასა სკოლის დირექტორმა, მაყვალა თევზაძემ და მათ მიმართა: “ბავშვებო, განსაკუთრებულად მიხარია რომ იმდენი ქართულად, გიყვართ ჩვენი ქვეყანა, მისი წარსული, იზრდებით სარწმუნოების სიყვარულით, შევთხოვ ღმერთს, თავისი წყალობა არ მოგაკლოთ, მადლობა ნესტან მასწავლებელს, სამშობლოს სიყვარულთან ერთად რომ უნერგავთ ბავშვებს სარწმუნოების სიყვარულს და ასწავლით, როგორ იცხოვრონ სწორად”.

ნათია ნაცვლიძე

ნათია ნაცვლიძე

იხარული მასპინძლობის სიბლი №1 სკოლაში

“იმერეთია ჩემი ეზოც და იმის გარეთ, ღობე-ღობეზე შეფენილი ერთ დიდ ნაკვეთად. გეგატორივით ვაწოლილი ვერ ილიას ქარი, შეგვარების და მონატრების სასოწარწვეთა...” ქუთაისელი პოეტის, ლაშა ბიბიაძის ამ სტროფებს გაგახსენებდათ ის ატმოსფერო, №1 საჯარო სკოლის მე-2 ა კლასის მოსწავლეებმა დედაქალაქის 182-ე სკოლის პატარებს რომ შეუქმნეს. ორი სკოლის მე-2 კლასელები ერთმანეთთან რამდენიმე ხნის წინ დამეგობრდნენ. “ჩვენს ვირჩევთ მეგობრებს” – პროექტის ფარგლებში. პირველი ვიზიტი ჩვენებურებმა მოაწვეეს დედაქალაქში, ამჯერად კი, “გულბათილი, სულბათილი, დიდებული იმერეთი”, კერძოდ პატარა ქალაქი სამტრედიის მასპინძლობდა თბილისელ სტუმრებს.

სტენდზე გამოეფინათ. ამ ყოველივემ სტუმრები ძალიან გაახარა, მერე მეორე სკოლის მოსწავლეების მიერ შესრულებული ავტობიოგრაფიებიც შეაფასეს სტუმრებმა. ამ სტუმარ-მასპინძლობას ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, კულტურის სამსახურის უფროსი და მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს წევრებიც ესწრებოდნენ.

ღონისძიების მომდევნო ეტაპი სკოლის დიდ დარბაზში სტუმრების შეყვანა და მათთვის იმერული ღონისძიებების მართვის მანერების მაკეტების სახით ჩვენება იყო. მოსწავლეებმა სტუმრებს მოუთხროს გელათის ტაძრის ისტორია, ვანის ნაქალაქარისა და სათაფლიის მღვიმის შესახებ. მოსწავლეები ინტერესით უსმენდნენ მასპინძლებს, მერე ანასტასია სპირანტის შესრულებული “იმერეთი” მოიწონეს თავი მასპინძლობის სიბლი №1 სკოლაში.

ჭარბად, მე-2 კლასელთა დამრიგებელმა. ქალბატონი ნინო წარმოშობით სამტრედიიდან არის, მას განსაკუთრებული

განაცხადა ხათუნა ფაილაძემ და მისივე სკოლის მოსწავლეებს მიმართა: “დადეთ პირობა, რომ იქნებით ჭკვიანები, მშრომლები და ღირსეული ქვეყნის ღირსეული შვილები”.

იმერული სტუმარ-მასპინძლობის შეფასება პედაგოგ ნინო ჯინჭარაძეს ვთხოვეთ: “არაჩვეულებრივი სკოლაა, კარგად ვიცნობ სკოლის დირექტორს, რომელიც თავდაუზოგავად ზრუნავს სკოლის წინსვლისათვის, შესანიშნავი, ორიენტირებული იმერული დახვედრა მოგვიწვევს, ყველანი კმაყოფილი ვართ. მართლაც საინტერესო შეჯიბრი იყო, მეგობრობა გასდევს ამ ურთიერთობას ნათელ ხაზად და ეს ყოველივე გაგრძელდება ისე, რომ ამ ბავშვებმა ისწავლონ მეგობრობა, ადამიანების სიყვარული, რაც ცხოვრებაში გამოადგებათ”.

“ისეთი კმაყოფილი ვარ, ემოციას ვერ ვშლივ, მართლაც ავტორული, უთბილესი, ლამაზი დახვედრაა, ძალიან დიდი მადლობა ყველას”. – გვითხრა მშობელმა ეკა გოგოლაძემ.

თამარიკო კუტალაძე ნინო ჯინჭარაძის ოჯახის წევრია, ის ამჯერად მშობლის რანგში სტუმრობდა სამტრედიას, მისი მეუღლე ჩვენი თანაქალაქელი კომპოზიტორის სკოლის დირექტორის მოადგილე, მალხაზ ჯინჭარაძეა: “ნინო მასწავლებლის მშობელიც ვარ, ის ჩემი მეოთხე შვილის მასწავლებელია, ძალიან კმაყოფილი ვარ, ვიცი იმერეთი როგორი განსხვავებულია, როგორ უყვართ სტუმრის პატივისცემა, მა-

გრამ დღევანდელმა დღემ მოლოდინს გადაჭარბა, აფორთოხანებული ვართ. ალბათ, ეს ემოციები დიდხანს გავგვევება. მეამაყება ჩვენი მშობლიური კუთხე ასე რომ დაგვხვდა. ეს კომუნიკაცია აუცილებელია, იმდენად ერთფეროვანია ყოველდღიური ცხოვრება, რომ ასეთი ღონისძიებებით უნდა გავალამაზოთ იგი. მადლობა №1 საჯარო სკოლას”.

“ეს 4 წლიანი პროექტია, ჩვენ, პედაგოგები კარგად ვიცნობთ ერთმანეთს, არ გავგჭირვებია ურთიერთობის დამყარება, ამან ხელი შეუწყო ბავშვების დაახლოვებას. 2 დღით ვესტუმრეთ მათ 182-ე სკოლაში და მოგვართო თბილისის ღონისძიებები, ვესტუმრეთ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლს, გექონდა სკოლაში ჯგუფური მეცადინეობები, აკვირებთ წიგნი. იმ სკოლაში მეგობრობის ხეივანიც გავაშენეთ და დედაჩემს ძველსაც ვეწვიეთ, რადგანაც 14 აპრილს დაემთხვა ჩვენი ვიზიტი. ამ პროექტს გაგრძელება I-ელ სემესტრშივე ჰქონდა, ბავშვებმა ერთმანეთი წერილებ-

იმერული მოწვეული ფაცხის წინ ტაბლა დადგეს, სამეფი, კერძაზე კვები შემოდგეს, ქვიჯა და მრავალი სხვა ატრიბუტიც გამოჰფინეს, რაც სტუმრებისთვის უჩვეულო და საინტერესო სანახაობას წარმოადგენდა. იმერული ფერხულიც შეასრულეს, სტუმარ-მასპინძლობა “იმერული მეზარულის” გარეშე ვინა სთქვა იმერეთში. “შენ რომ ცეცხლი მომიფიდე, მითხარ, როგორ გაგანელო”. – მღეროდნენ შესაბამისი არტისტობით მეორეკლასელები და ამ სანახაობის შემყურე რამდენიმე მოსწავლის მშობელს თვალზე ცრემლიც კი მოადგა. მერე ნანა კუკანია, მე-2 კლასის პედაგოგი და მთავარი მასპინძელი მოსწავლეებს და მშობლებს საკლასო ოთახში შეუძღვა. სამტრედიელ ბავშვებს თბილისში სტუმრობის ამსახველი მასალა



ნდობებმა. მეგობრობა და ურთიერთსიყვარული საქართველოზე სიმღერის ერთობლივი შესრულებით გამოხატეს.

182-ე სკოლაში მასპინძლობის საჩუქრები გადასცა მასპინძლებს ნინო ჯინ-

ჭარაძის საკრებულოს თავმჯდომარე, ნუგზარ ჯამბურია. მათ გზა დაულოცეს პატარებს.

“უდიდესი მადლობა, რომ გამონახეთ დრო და მობრძანდით ჩვენთან”, –



ით მოვიტოვეს. ამის შემდგომი ეტაპი დღევანდელი ღონისძიებაა, ბოლო ეტაპი კი მხიარული სტარტებია” – გვითხრა პედაგოგმა ნანა კუკანიამ. დასასრულს მოსწავლეებმა მხიარული სტარტებიც მოაწვეეს და იხალისეს. ერთ-ერთი მოსწავლის დათუნა რამიშვილის ბებიის, მარინა ზუჭუას ლექსების წიგნის ექსკლუზიური გამოცემა №1 სკოლაში სტუმრებს საჩუქრად გადასცეს.

ირა ბაგუნაშვილი



ბავრი უსწავლიათ ერთი წელიწადში

სასწავლო წელი ზაფხულის მოსვლას ჩვეული ჟრიაშულით შეხვდა. ახლა დასვენების დროა და მეთორმეტე საჯარო სკოლის სკოლაში გატარებულ პირველივე წელს ისწავლეს, ლამაზი სანახაობით აჩვენეს. მათი პირველი მასწავლებლის, მედეა გეგეშიძის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ ბევრი

უსწავლიათ ამ ერთი წლის მანძილზე. რა თქმა უნდა, ამაში ამ პატარების ბეჯითობაც დაეხმარათ. ცეკვა, სიმღერა, ლექსი არაერთი ინსცენირება ღონისძიება მხიარული და ემოციურად დატვირთული გახლდათ. მედეა გეგეშიძე და ლელა გოლიაძე ის პედაგოგები არიან, შრომა რომ არ დაუკარგეს პა-

ტარებმა. “სკოლაში გატარებულმა წლებმა მოსწავლეების სიყვარული და მათთან ურთიერთობის დიდი გამოცდილება მოიტანა. ყველა ბავშვი ნიჭიერია, მაგრამ მთავარია, მათი ეს ნიჭი აღმოაჩინო, მის შესაძლებლობებს მთავრო. ამავედროულად, თუ არა პატარების სიყვარული, პედაგოგობის დიდ პასუხისმგებლობას წლ-

ები ვერ ატარებ მხრებით. ყველაზე დიდი ჯილდო კი, დამამთავრებელ კლასში ნათქვამი მადლობა და ის მოწიწებაა მასწავლებლისთვის, წლების შემდეგ შენს ნამოწაფარს რომ ატყობ შეხვედრისას. ჩემი პირველკლასელებიც დაფორთხანდებიან და მერე, მოგონებდნენ რომ იქნებოდა ბავშვობის უღარდელი წლები, სიამოვნების დიდილით გაიხსენებენ ამ დღეს.” – გვითხრა მედეა გეგეშიძემ და სკოლის დირექტორთან, ხათუნა თელასთან ერთად კიდევ ერთხელ დალოცა თავისი აღსაზრდელები. სანამ მხიარული ზაფხული ჭალასა და ვენახში, მთასა და ბარში იცვლქებს, სკოლა და მერხი ისევ მოინატრებათ ამ პატარა გოგო-ბიჭებს და სექტემ-

ბერი ისევ სკოლის ზარით მოუყრის მათ თავს საკლასო ოთახში. იქ კი მედეა მასწავლებელი კვლავ დახვდება ცოდნის მწვერვალებისკენ გზის გამკვლევად. ხოლო იმ დღეს მათი ღონისძიება ყველაზე ლამაზი და მხიარული იყო, რადგან პირველი წარმატებული სასწავლო წელი ზაფხულმა ჩაანაცვლა.



წერილი მისამ

სამხევის ჩემი

ყველა სახლზე სამტრედია, სისარული მწენი, სამტრედია, სამტრედია – სამტრედია ჩემი.

გზ. ჯგულები

დაარსებიდან 145 წლის იუბილეს იხეივებს შემოდგომაზე ქალაქი სამტრედია. დროის ეს მონაკვეთი წამის მკაცრად ტოლია ისტორიისათვის, თუმცა, ბევრის მიტოვებული ერთი ქალაქის ღირსეული წარსულისათვის. როგორც ცნობილია, წელს 145 წელი ქალაქ სამტრედიის დაარსებიდან სრულდება. იმ ადგილზე კი, სადაც დღევანდელი სამტრედიის მუნიციპალიტეტის (რაიონის) ტერიტორია გადაჭიმულია, ოდითგანვე ჩქეფდა სიცოცხლე. დღეს, ამ წერილში იმ ადამიანებს გავიხსენებთ, (საზოგადოებრივ-პოლიტიკური/ფორმაციათა მიუხედავად საკუთარი სიტყვა რომ თქვას, ბოლომდე დაინარჩუნენ სამშობლოსათვის.

ჯერ კიდევ მაშინ, როცა საქართველოს და სამტრედიის სოფლებში წერაკითხვის მცოდნენი თითოეული ჩამოსათვლელი იყვნენ, ჩვენმა თანამემამულემ, ფილიპო ქორიძემ მილანში (ლა სკალას) თეატრში იმღერა, საზღვარგარეთ გასტროლებით იმოგზაურა და შორს გაუთქვა სახელი ქართულ გენსა და ნიჭს, მერე მთელი ცხოვრება ქართული საგლობლების, სიმღერების შეგროვებითა და აღდგენით იყო დაკავებული. ამოდ არ ჩაუვლია ერისკაცის ღვაწლსა და ამავე. ქართულმა ეკლესიამ წმინდანთა დასში ჩარიცხა იგი.

სამტრედიელი, კულაშვილი მიქელამეების ოჯახიდან რუსეთის არმიამ ოთხი გენერალი იბრძოდა.

შალვა ელიავა, მარიამ მიქელამე

ორახელაშვილი, ნოე თელია, ეხეკი ჯამბურია, ვანო, გიორგი სტურუები 1917 წლის ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის იდეების გამარჯვებისათვის, გამარჯვების შემდეგ კი, ცხოვრებაში ამ იდეების განხორციელებისათვის იბრძოდნენ. ჩემი თაობის ადამიანებს სიამაყით გვეუბნებიან, რომ ნაბაკეის საჯარო სკოლაში ინახებოდა ლენინის მეუღლის, ნადეჟდა კრუსკისაის მიერ ვანო სტურუასადმი ნაწიკარი საფულე.

1918 წელს, როცა დაიბადა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, დამოუკიდებლობის აქტს ღირსეულ მამულივით ეწეოდნენ ერთად ხელს სამტრედიელი პავლე წულაიაც აწერს. მერე იყო ანექსია.

როცა 1924 წლის ცნობილი მოვლენები განვითარდა და საფიჩხის ტყეში, მდინარე ვერილას ხეობაში, ცხენის-წყლის ნაპირებთან ასობით უდანაშაულო ადამიანი დახვრიტეს და არ აპატიეს სამშობლოს სიყვარული, დასჯილთა შორის დიდჯიბაშვილი, ქუთათელ-განათელი მიტროპოლიტი, მამა ნახარი (ლევანა) აღმოჩნდა, რომელიც თანამოაზრე სასულიერო პირებთან ერთად სწორედ საფიჩხის ტყეში დახვრიტეს. მიტროპოლიტი ნახარი დღეს ზეციურ საქართველოს წმინდანთა დასშია დაკანებული.

ცხოვრების უმნიშვნელოვანესი წლები გაატარა დიდ ჯიხაში ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ ნიკო ნიკოლაძემ. ის ფაქტი, რომ მას "კაცი სახელმწიფო" უწოდეს თავისთავად ბევრის მიქმელია...

დიდი ამაგი დასდევს დიდჯიხაშიელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეს იუნე გომართელმა, ექვთიმე ვამბაკიმ, რომლებიც ამ სოფელში ქსენონის საავადმყოფოს დამარსებლებად მოგვევლინ-

ენ. წლების მანძილზე უნარიანად ხელმძღვანელობდა დიდი ჯიხაში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმს საქართველოს დამსახურებული პედაგოგი, ბატონი პოლიკარპე (პოლიკო) მიქაძე. სწორედ მისი დირექტორობისას განდა სასწავლებელი სამტრედიის საფიჩხო ბარათი.

შრომის გმირები: ისილოე მელქაძე, დავით ბაღდავაძე, ნოდარ ტალაბაძე, საკაემირო კომკაემიროს პრემიის ლაურეატი გიორგი სტურუა, სხვადასხვა წლებში საქართველოს უმაღლესი საბჭოს წევრები: ვახტანგ სტურუა, თამარ თავაძე, რევაზ ელიაშვილი, ჯუმბერ ქორიძე, ნოდარ კობრიძე, მიხეილ გამრეკელიძე. მენაქები: ეთერ ქუთათელაძე, მარგალიტა გეგეჭკორი, მოწინავე კოლმეურნეები: ქეთო ლევიძე, ნინა ნეკურაძე, ოლია ბალანჩივაძე, ამბროსი მაჭავარიანი, ის ღირსეული სამტრედიელები გახლდნენ და არიან მკლავმოუღველნი, შრომით დოვლათს რომ ჰქმნიდნენ, ქალაქისა და რაიონის მცხოვრებთა უკეთესი მომავლისათვის რომ იღვწოდნენ.

მემკვიდრე გვერდს ვერ აუვლის სამტრედიის სინამდვილეში პირველი დიპლომირებული ექიმების: ოლია და ენაატე ჯამბის, პირველი დიპლომირებული ეკონომისტის – ჰეტერე გრიგოლიას, ასევე პირველი დიპლომირებული ჟურნალისტის – ანზორ გრიგოლიას ღვაწლს.


მეორე მსოფლიო ომში 5400-ზე მეტი სამტრედიელი წავიდა, ნახევარი მა-

თვანი გმირის სიკვდილით დაეცა ბრძოლის ველზე. სათუთად ინახავენ სამტრედიელები თითოეული მათგანის ნათელ ხსოვნას, პატივს მიაგებენ ომგადახდილ ვაჟკაცებს. არც აფხაზეთსა და სამაჩაბლოში, 2008 წელს განვითარებულ მოვლენებს ჩაუვლია მსხვერპლის გარეშე ჩვენი ქალაქისათვის.

გმირები ჩვენს დროშიც იბადებიან და დაიბადნენ კიდევ. წლების წინ სამტრედიელმა ირაკლი ქუთათელაძემ საკუთარი სიცოცხლის ფასად იხსნა ახალგაზრდა გოგონა მტკერის მღვრიე ტალღებში დახრჩობისაგან.

ქალაქის ისტორიისათვის მნიშვნელოვანი მოვლენა გახლდათ 2011 წელს ქალაქის ცენტრში წმინდა მეფე დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძრის გახსნა, მთელი სამტრედია რომ აშენებდა და მსგავსი სულიერი და არქიტექტურული ძეგლი არათუ სამტრედიასა და რეგიონში, საუკუნეთა მანძილზე საქართველოშიც რომ არ აშენებულა.

ძმობისა და მეგობრობის ქალაქია სამტრედია. ლამაზად ჩაიწერა სამტრედიის ისტორიაში სხვადასხვა ერისა და ეროვნების ადამიანთა გვარ-სახელები. ქართველ მშობლებთან, მეგობრებთან ერთად რომ ინაწილებდნენ საერთო სიხარულსა და ტკივილს. ბევრნი, ბევრნი არიან ისინი: შირინსკები, ტიხონოვები, ლეშჩუბი, ვოიტკევიჩები, სარქისოვები, დავითიანები, კონსტანტინიძეები, ვადალანოვები... (არაფერს ვამბობთ ებრაელებ-



ზე, რომლებზეც წინა წერილში ვეკვინდა საუბარი. (ლ. გ.)

განსაკუთრებით უყვარს და წყალობის უფალი სხეულთა და ცხოვრებისაგან გვექმნის. არავინ შემოგვეწერება ორიოდე სიტყვით, ოდენ გვარ-სახელებით თუ მოვივინებთ სამტრედიელ ელიოსა და ღამურას, ცხოვრებისაგან თავსდატეხილ სირთულეებს რომ ვერ გაუმკლავდნენ, ბანიდან ბანზე, ოჯახიდან ოჯახში დადიოდნენ და ამგვარად გახდნენ საოცრად ახლოვებულ ადამიანებად ქალაქელებისათვის.

145 წლის იუბილეს იხეივებს წელს სამტრედია!

ლევან ბაგრაძე

145 წლის სამტრედია

"საქართველოში მნაცს გაღვიძება!"

ქართული კანძულსიტყვიერების ჭეშმარიტ ოსტატთა შორის ცოტა თუ მოიძებნება ისეთი, ვინც განგების მიერ მოვლენილ არაერთ მძიმე დარტყმას მედგრად შეხვდა და დაამარცხა კიდევ.

მედია კახიძე – 1950 წელს შედგა იმხანად უცნობი, სამომავლოდ კი საქვეყნოდ აღიარებული, სიყვარულისთვის დაბადებული შემოქმედის ლიტერატურული დებიუტი და მას შემდეგ მრავალი პოეტური კრებულის ავტორი საქართველოს მწერალთა კავშირის წევრებისთვის (და არა მარტო) სამაგალითო, ყველასთვის მისაღები მედია გახდა.

"განა წყარო ვარ", "სიყვარულის ასაკი", "სად ხარ, ჩემო მეზღვეო", "სიყვარულს უშენებია", "ინდი-მინდი", "წინათგომობა", "გადაძახილი", "ჯიუტი ჩიტები", "მემღერებოდეს ოღონდ"... ამ და სხვა თხელტანიანმა, ლექსებად აინტელმა წიგნებმა შეაყვარა ქართველ მკითხველს ივერთა მისი საღივებლად დახარჯული პოეტი.

145 წლის სამტრედია სხვადასხვა დროს მრავალ საპატიო სტუმარს მასპინძლობდა. გასული საუკუნის 80-იან წლებში, მაშინ, როცა "მზანში მოსახვედრი ტყვია" ძაღვებს იყრუფდა, ქალბატონი მედია კახიძე მტრედანთაოვლი ქალაქის სტუმრობით ახარებდა სამტრედიელებს. ფოტო, რომელიც აბრეშუმის მათსახვევ-საგრეს ფაბრიკაში პოეტის სტუმრობის ფაქტს ინახავს, ჩვენი ქალაქის საპატიო დიასახლისად ქცეული ქალბატონის, ნათელა გელეიშვილის უმდიდრესი არქივის საკუთრებაა. მასზე გამოსახული არიან, მარცხნიდან: ფაბრიკის მთავარი ინჟინერი დარეჯან ალაგაძე, პოეტი მედია კახიძე, ფაბრიკის პარტიული კომიტეტის მდივანი დარეჯან ქუთათია და პარტიის სამტრედიის რაიონის მდივანი ნათელა გელეიშვილი.

"სათონო, უწომოდ ერუდირებული, კაცთმოყვარე – ეს ეპითეტები ზედგამოჭრილია ქალბატონი მედია კახიძის დასახასიათებლად. მწერალთა კავშირთან ჩვენი მჭიდრო ურთერთობის წყალობით მოხდა ცნობილი პოეტის მოწვევა, რაზეც მალევე მივიღეთ თანხმობა და მედია კახიძეს ვუმასპინძლეთ. კიდევ ერთი ლამაზი, დასამახსოვრებელი დღე ჩაიწერა სამტრედიის მატანიში." – დასძენს "სამტრედიის მაცნესთან" საუბრისას ქალბატონი ნათელა.

ვარდობისთვის, გერმანიიდან ფრიად სამწუხარო ცნობა მიიღო საქართველომ. ქალიშვილთან სტუმრად ყოფნისას, მძიმე, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ სახელოვანი ქართველი პოეტი, მედია კახიძე 85 წლის ასაკში გარდაიცვალა.

საქართველოს მწერალთა კავშირი უსახვრო გულისწვევით გამოეხმაურა აღნიშნულ ფაქტს: "ქართულ მწერლობას გამოაკლდა მეტად მნიშვნელოვანი პოეტი, რომელიც შემოქმედითა იმ მცირერიცხოვან ჯგუფს განეკუთვნებოდა, რომელიც ტონს აძლევდა XX საუკუნის მეორე ნახევრის პოეზიას და მას განუმეორებელ პეწს, ლაზათს მატებდა.

მედია კახიძის პოეზია კალმხივით სხმარტალდება მის სათაყვანებელ სამშობლოში და ულამაზესი შხეფებით ამდიდრებდა, ალამაზებდა ჩვენს სულსა და გულს..."

ერთ-ერთ ბოლო ლექსში პოეტი წერდა: "სურვილი ნელ-ნელა გამიხვედა, სიხმრებმა ამიჩემეს სამიხვნელად, სუნთქვა მენამრიად დაიძვრება, იალქნიანი ღრუბელი გამიძღვება, რომ იქ დაუწყო აპრილის ძებნა, საქართველოში მწადს გაღვიძება!" მედია კახიძე მშობლიური ქვეყნის მიწამ მიიბარა. პოეტი საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალეს.

პირა ბაგრაძე

ქსეყრხის ნიკოლოძეთა მამულოში

ჰედაგოვ ნათელა ჯიმშელიშვილს "სამტრედიის მაცნესთან" 45 წლის მეგობრობა აკავშირებს. ზუსტად იმდენი წელიწადი, რამდენიც ქალბატონმა ნათელამ პატარების მზრუნველობასა და სწავლა-აღზრდას გაატარა. №2 საჯარო სკოლის დაწესებულების მასწავლებელი ჩვეული ენერგიით განაგრძობს მოსწავლეთა აღზრდას. ის ხშირად ატარებს საჩვენებელ და ღია გაკვეთილებს მის მოსწავლეებს გამორჩეულად აყვარებს სამშობლოს და მათში ქართული, პატრიოტული სული რომ ააღორძინოს, ხშირად დაჰკავს ბავშვები ექსკურსიაზე ეროვნული მოღვაწეების სახლ-მუზეუმებში.

ამჯერად ქალბატონმა ნათელამ №2 საჯარო სკოლის პირველი კლასის დამრიგებელმა უდიდესი ქართული მოღვაწის, დროს გასწრებული პიროვნების ევროპელი მასშტაბის მოაზროვნის, ნიკო-ნიკოლაძის სახლ-მუზეუმში წაიყვანა თავისი მოსწავლეები: სალომე აბრამიშვილი, ლიზა ბუაძე, ნინო გეგუჩაძე, ნეკა გვიშანი, საბა გოგიშვილი, მარიამ გუმბერაძე, თამთა ზაქარაიშვილი, ნინო თაბაგარი, თონა თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ კანდელაკი, ანანო კვანტალიანი, თეკლა კვანტალიანი, ვივიანა ლუბანიძე, ვურამ ლეჟავა, საბა მიქაუტაძე, ბექა მუქერია, ნიკოლოზ მშვიდლობაძე, სანდრო საკანდელიძე, ქრისტინე ფანცულაია, თომა ქეჩაჩია, ეკატერინე ხაყალია, თენგიზ ჯაბინაშვილი, ლუკა ჯანელიძე.

"ტრადიცია მაქვს, ჩემი პირველკლასელები ყოველთვის მიმეყვან ცნობილი ქართველი მოღვაწეების სახლ-მუზეუმში ექსკურსიაზე, ბავშვებმა დაათვალიერეს მუზეუმი, გაეცნენ პიროვნების ბიოგრაფიას, რომლისთვისაც მთავარი იყო სამშობლოს ბედ-იბაღზე ზრუნვა, ენაზე ნიკოლაძეთა უძველესი საგვარეულო ნივთები, ნახეს ჩვენი მეფეების: ერეკლეს, თამარის, შოთა რუსთაველის და სულხან-საბას პორტრეტები, დადეს პირობა რომ ისინი დიდი წინაპრების საქმის ღირსეული გამგრძობლები იქნებან.

საამოყენებით დაათვალიერეს ეზო, სადაც არის სექცია, ძეგლების ხეივანი, ვერხვი, წყავი, სამწუხაროდ კაუჩუკის ხე გახმა. ბავშვებმა ბურთიც ითამაშეს. დაინტერესდნენ გიორგი და ნიკო ნიკოლაძეების ბიოგრაფიით, ნახეს სამოსი, რომელსაც ეს ორი დიდი პიროვნება ატარებდა". – გვითხრა ქალბატონმა ნათელამ.

ამ დღეებში ნათელა ჯიმშელიშვილი იუბილარია, ნორჩების სამსახურში დაუღალავ, ღვაწლმოსილ ქალბატონს უდიდეს წარმატებებს ვუსურვებთ!

ნათა ნანუაშვილი





# 95 წლის წინ...

1920 წლის 22 მაისს, კვირას 10 საათზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახლანდელი სამეცნიერო ბიბლიოთეკის სამეცნიერო დარბაზში, მაშინდელ პირველ აუდიტორიაში ტევა არ იყო.

მაგიდას უსხდნენ: სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს წევრები, მეცნიერები.

ფაკულტეტის საგანგებო საჯარო სხდომაზე უნდა გამართულიყო პირველი დისპუტი ქართულ ენაზე სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.

საბჭოს სხდომა საზეიმოდ გახსნა ფაკულტეტის დეკანმა პროფესორმა კორნელი კეკელიძემ, სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს მდივანმა, პროფესორმა გიორგი ახვლედიანმა დამსწრეთ დისერტანტის მოკლე ბიოგრაფია გააცნო. იგი გახლდათ ჩვენი სახელოვანი თანამემამულე აკაკი შანიძე.

“დიდად ბედნიერი ვარ, რომ საქართველოში პირველი დისერტაციის დაცვა სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად ბედმა მე მარტუნა”. – განაცხადა აკაკი შანიძემ.

ჭეშმარიტად ბედნიერი იყო დისერტანტი და არა მარტო იგი. ამ დღეს ბედნიერი იყო ქართული ეროვნული მეცნიერება, ყოველი ქართველი ინტელიგენტი.

აკაკი შანიძის დისერტაცია დაცულია უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის უძვირფასეს ფონდში.

22 მაისის იმ ჩვეულებრივ დღეს ვერც კი წარმოიდგენდნენ, წლების შემდეგ, მაშინ ახალგაზრდა დისერტანტი ყოველმხრივ დამსახურებულად თუ მოაპოვებდა ქართული ენათმეცნიერების პატრიარქის ტიტულს.

საამაყო, რომ საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტში პირველი დისერტაცია სამტრედიელმა აკაკი შანიძემ დაიცვა.

ლევან ბაგრაძე

## ფოტო ისტორიას ჰყვება

იმ ქარხნის ისტორიას, წლების მანძილზე ქვეყნის სამრეწველო საწარმოთა შორის მოწინავე პოზიციებს რომ არ თმობდა.

ამ დღეებში რედაქციაში ჩვენი გაზეთის დიდი მეგობარი, ბატონი მერაბ არჩვაძე გვეწვია და 1971 წელს გადაღებული ფოტო მოგვითხროს.

საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, ჩაი-მექანიკური ქარხნის დირექტორი, ბატონი შალვა გოგავა, ქარხნის ადმინისტრაციის, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის წარმომადგენლები: ჯემალ გიგინეიშვილი, შოთა ჰაპავა, ჯემალ კაკაბაძე, ინეზა ხოშტარია, შამელაშვილი, მერაბ არჩვაძე, ვალიკო ბოხუა, შოთა ქაჯაია არიან მასზე გამოსახულნი, ბევრი მათგანი დიდი ხანია, ამ ქვეყნად აღარაა, თუმცა, ცოცხლობენ ისინი მადლიერ სამტრედიელთა ხსოვნაში.

ლევან ბაგრაძე



## საორტი “ვეფხისტყაოსანში”

შოთა რუსთაველის “ვეფხისტყაოსანი” ის თხზულებაა, რომელშიც თავს იყრის და რომლისგანაც გამოდინება ქართული მხატვრულ-ესთეტიკური ძროვნების მონაპოვრები. პოეტმა ორიენტირებული ინტერპრეტაციით მაწოდა მკითხველს, ერთი მხრივ, ქართული, მეორე მხრივ კი – მსოფლიო კულტურის მიღწევები, ჰუმანური იდეალები.

თუმცა, რომელიც მინდა ავსახო ამ პუბლიკაციაში, ვფიქრობ, ნაკლებად არის ცნობილი. ეს განლაგებული საორტი.

შოთა რუსთაველი თავის ნაწარმოებში გარკვევით მიუთითებს, ის ვინც მოპურთაღია, მისთვის საჭიროა სპეციალური საასპარეზო ადგილი, მინდორი, მოედანი, რომელსაც დღეს სტადიონს უწოდებენ.

არაბეთის მეფე როსტეგანი ადამიანის ფიზიკურ საშუალებათა შორის ასახელებს ბურთაობას.

პოემის მეთე თავში “ტარიელისაგან თავის ამბის მბობა ავთანდილთან” პოეტი წერს: “იგი ასრე მოიწიფა,

მე შემეძლო შესვლა ომსა, მეფე ქალსა ვით ხედვითა მეფობისა ქმნისა მწოშსა. მაშისავე ხელთა მისცეს, რა შევიქმენ ამა ზომსა, გუთრთაობდი და ვნადირობდი ვით კატასა ვხორცი ლომსა”.

პოემის გმირი ავთანდილი ბავშობიდანვე დაინტერესებულია ქართული თამაშობებით. იგი თავიდანვე გაიწვია ნადირობაში. ისე დაუფლდა მშვილდოსნობას, რომ თავის აღმზრდელს მამასაც კი ენიღდავებდა. ფიზიკურ თამაშობებს შორის ავთანდილი მნიშვნელოვან ყურადღებას აქცევს ბურთაობასა და ნადირობას. აი, როგორ ივონებს მოხუცი მეფე როსტეგანი ავთანდილის ბურთაობას:

“ოღეს გნახავ მხიარულსა ნადირობით შემოსრულსა? ველარ გიჭვრეტ ნაბურთაღსა ტანსა მჭევრსა, ვავარ-სრულსა. რუსთაველი თავის პოემაში ხაზგასმით გადმოგვცემს ნადირობიდან დაბრუნებისას დიდი შესვენების შემდეგ ბურთაობის მომენტებს. ამ მხრივ საყურადღებოა ავთანდილისა და ტარიელის დიალოგი:

“მოსრის მხეცი და ნადირნი ისარმან ჩემგან სრულმან, მერმე ვიბურთი მოედანს მინდორით შემოქცეულმან.

როგორც ავთანდილი, ასევე ტარიელიც სპორტული თამაშობების დიდი მოყვარულია. იგი დაინტერესებულია ნადირობითა და ბურთის თამაშით.

პოეტი შემთხვევით არ ათქმევინებს ტარიელს: “სროლასა და ასპარეზსა აქედან ჩემგან ქმნილსა”. იგი – “ტანად ლობი და პირად მზე, ომად მძლე რაზმთა მწყობელი”. თავისი სატრფოს ნესტან-დარეჯანის შესახებ არასასიამოვნო ამბის (იგულისხმება ხვარა-ზმას შვილისათვის ნესტან-დარეჯანის მიზნობების ამბავი) გამო ტარიელი ამბობს: “მე მამურალი, ნაბურთალი, საწოლს შეველ მოსვენებად”. მიჯნურ ტარიელს თავის “ფიქრთა გასაქარებლად” ხშირად მოედანზე ვხვდებით, როგორც მოპურთაღს, ტემაში, როგორც მინადირეს.

რუსთაველი ნადირობას ხშირად სპორტულ თამაშობებს უკავშირებს. იგი წერს: “ფრიდონს თანა ნადირობას – გავიდის და თამაშობდა”.

პოემის შემდეგი გმირი – ფრიდონი გვევლინება საბელზე გასვლის ოსტატად. მას მასზე გასვლა წარმოუდგენია, როგორც ველზე გარბენა. არამც თუ ახალგაზრდა მოქმედი პირი, არამედ ხანდაზმული მეფე როსტეგანიც არ იფიცებს ფიზიკური ვარჯიშის მნიშვნელობას. იგი თავის ვაზირ სოვრატთან მშვილდოსნობისა და ბურთაობის შესახებ თავისუფლად საუბრობს:

“ანუშეცა მგვანდა მშვილდოსნად, ანუ კელა ბურთაობითა: ტოტასა შემწევს ავთანდილ ჩემგანვე ნაზარლობთა.

შოთა რუსთაველი თავის პოემაში შეხვო რა ქართულ ეროვნულ სპორტულ თამაშობებს, წინა პლანზე დააყენა ბურთაობა, მშვილდოსნობა, ნადირობა, ჩოგანბურთი. მას მაინც ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად ადამიანის ფიზიკური კულტურა – ადამიანის სხეულის გაჯავება.

ინგოლო ბერიძე

გაზეთ “სამტრედიის მაცნეს” რედაქცია სამხიმარს უცხადებს ზიტა ბასიალაძესა და ლადო ნიკოლეიშვილს მამისა და სიმამრის **ოზარ ბასიალაძის** გარდაცვალების გამო.

**გურამ ლომიძის განცხადება**  
6 ივნისს ორი წელი სრულდება შენი მოულოდნელი გარდაცვალებიდან, გვაკლიხარ და გვენატრები, ნათელში ამყოფოს ღმერთმა შენი სპეტაკი სული.  
**შენზე მონათრებული ოზარი და ანუი**  
**მამრბარი ავთანდილ კაშია**

## “...ჭეშმარიტება თუ არ აღვას თაგზე სინათლედ”

წერილის სათაურის შერჩევაში ჩემი კოლეგა, პოეზიაზე უზომოდ შეყვარებული ქალბატონი ნათია ნაცვლიშვილი დამეხმარა. ჭეშმარიტება, სიმართლისადმი მსახურება იყო ამირან კალაძის მთელი ცხოვრება.

1945 წელს დაიბადა იგი. შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, მისი სამსახიობო დებიუტი დარასელის პიესაში “ვასილ კიკვიძე” შედგა. ბატონი ამირანი წლების მანძილზე ცხოვრობდა ესტონეთში, შეისწავლა ესტონური ენა, გაეცნო ესტონურ კულტურას, ყოფას და ქართველებსაც გააცნო მოძვე ესტონელ ხალხთა მწერლობის ბრწყინვალე მარგალიტები, ქართულ ენაზე თარგმნა ბატონმა ამირან კალაძემ ესტონელ მწერალთა ნაწარმოებები.

“დაგვიანებული ერთგულება”, “პირველი სიმი”, “ოქროს შუალედი”, “მოლოდინიდან მოგონებამდე”, “ის მაინც ბრუნავს”... პოეტ ამირან კალაძის კრებულებია.

ხანმოკლე სიცოცხლის მიუხედავად აქტიური საზოგადოებრივი პოზიცია ეკავა ყოველთვის.

გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან იგი აქტიურად მონაწილეობდა ახალი ძალით აგინგზებულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, სწორედ ამ პერიოდს უკავშირდება გაზეთ “სამტრედიის მაცნესთან” მისი აქტიური შემოქმედებითი თანამშრომლობა. მის პოეზიას, წერილებს, პუბლიკაციურ ჩანაწერებს ემჩნეოდა მამულის ბედზე დაფიქრებული კაცის სულიცხვეთება.

ცოტა იცხოვრა და ბევრი გააკეთაო, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას ამირან კალაძეზე. არ იყო იოლი პოლიტიკურად საოცრად ბობოქარ პერიოდში ამომრჩეველთა მხრიდან ნდობის მოპოვება, 1989 წელს იგი საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს – უზენაესი საბჭოს წევრი გახდა და ჩვეული პასუხისმგებლობით შეუდგა ურთულესი მოვალეობის შესრულებას.

ნაადრევად შეწყდა დახვეწილი ინტელიგენტის, სამშობლოს უკეთესი მერმისისათვის მეგრძოლი მამულიშვილის გულისძეგრა.

არსთა გამრიგე ნათელში დააყანებს ბატონი ამირან კალაძის სულს. ამ დღეებში 70 წელი შესრულდა მისი დაბადებიდან.

ლევან ბაგრაძე



## სიკვდილო, კარგ ყმის მოკვლისთვის ბანა ვინ გეტყვის ქმბასა

ლევან ბაგრაძე

თქვა ქართველმა კაცმა. აკი, არც არავის დასცდენია ქება სიკვდილისადმი, იქ რომ ჩაგვისათრდება ავი ჩაფარავით, სადაც არ ველოთ.

არც არავინ ელოდა 1993 წლის ცხელ ზაფხულს სხვათა სიცოცხლის მხსნელი, მარჯვენაყურთხეული დასტაქრის, თამაზ დავითის ძე კაკაბაძის ლამაზი ცხოვრების ტრაგიკულ დასასრულს.

მეგლისძეგელ ხონის რაიონში, სოფელ ახალმენში დაიბადა იგი 1950 წელს. ლენინგრადის პირველი სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ წარმატებით დაიცვა დისერტაცია მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.

1985 წელს ახალგაზრდა ექიმში სამტრედიის ცენტრალური რაიონული საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების გამგედ დაინიშნა, ამ თანამდებობაზე მხოლოდ რვა წელი, გარდაცვალებამდე იმდენი თამაზ კაკაბაძემ, თუმცა, მალევე შეძლო საყოველთაო სიყვარულისა და პატივისცემის მოპოვება საზოგადოების მხრიდან.

ურთულესი, წარმატებული ოპერაციები, თეთრად ნათენები ღამეები, სიყვდილის დამარცხებები გამოწვეული სიხარული, გამოჯანმრთელების დეკანმა პროფესორმა კორნელი კეკელიძემ, სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს მდივანმა, პროფესორმა გიორგი ახვლედიანმა დამსწრეთ დისერტანტის მოკლე ბიოგრაფია გააცნო. იგი გახლდათ ჩვენი სახელოვანი თანამემამულე აკაკი შანიძე.

რთულესულ პაციენტთა გააცივროვნებული თვალები... მეტი სიმადლეებისაკენ უბიძგებდნენ უმაღლესი კატეგორიის ექიმს, საამისოდ მას არც კვალიფიკაცია აკლდა, არც მონდომება და არც პროფესიონალიზმი. უშურველად უზიარებდა მდიდარ გამოცდილებას დასტაქარი ახალგაზრდა კოლეგებს. სამტრედიის თანდათან ფართოვდებოდა მის მეგობართა, პაციენტთა რიგები.

არ გადავჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ თამაზ კაკაბაძე გახლდათ კაკაბაძეთა თვალსაჩინო გვარის ღირსეული წარმომადგენელი, ქართული ქირურგიული სკოლისა და ამ სკოლის მამამთავართა საქმის ჩინებული განმგრძობი.

1993 წელი. საოცრად დაამწუხრა საზოგადოება ცნობამ, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის, უმაღლესი კატეგორიის ექიმის, თამაზ კაკაბაძის საუტომობილო კატასტროფაში დაღუპვის შესახებ. წრფელი გულით, ალალი ცრემლით გააცილეს იგი უკანასკნელ გზაზე სამტრედიელმა და ქალაქ სამტრედიის ერთ-ერთი ქუჩისათვის მისი სახელის მინიჭებით გამოხატეს მისადმი სიყვარული და პატივისცემა.

“ქართულმა ეროვნულმა მედიცინამ

დიდი დანაკლისი განიცადა, ტრაგიკულად დაიღუპა სამტრედიის ცენტრალური რაიონული საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების გამგე, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, უმაღლესი კატეგორიის ექიმი თამაზ დავითის ძე კაკაბაძე.” – ვკითხულობთ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ გამოქვეყნებულ ნეკროლოგში. დიან, ეროვნული მედიცინის დიდ დანაკლისად იქნა აღქმული ბატონი თამაზის გარდაცვალება, არაფერია ამაში საკვირველი.

145 წლის ოუბილეს ინიემებს წელს სამტრედი, როცა ღირსეულ სამტრედიელს, მედიკოსებს: ილია და ეგნატე ჯაშებს, თორნიკე მილორაგას, ნელი დადიანს... გაიხსენებენ, უდავოდ მოიგონებენ კაცს, ცხოვრების შუა გზაზე რომ შემოაღამდა.

ამ დღეებში 65 წლისა გახდებოდა თამაზ კაკაბაძე. უფალი ნათელში დააყანებს მის სპეტაკ სულს.



# გოიხგი ზაქაიძე მეტეხის ოქოს მედალოსანი

20 მაისს კასპის რაიონის სოფელ მეტეხში იოსებ მაღალაშვილის სახელობის არენაზე ქართული ჭიდაობის ახალი სეზონი გაიხსნა. შეჯიბრება ჭიდაობის ადგილობრივი მეტეხის, თამაზ გუგულაშვილის ხსოვნას მიეძღვნა.

მეტეხში გამართული ორთაბრძოლები სამტრედიელებისთვის იმდენად არის საინტერესო, რამდენადც იქ მონაწილეობას ღებულობდა ევროპის პრიზიორი და მსოფლიოს ჩემპიონი, კლუბ "ფალავანის" აღზრდილი გიორგი ზაქაიძე.


გიორგი, ჩვეულებრივად, ვეღავზე პრესტიჟულ, მძიმე წონით კატეგორიაში ასპარეზობდა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ იგი პირველ შეხვედრაში ამარცხებს შარშანდელი წლის ფალავანს, გორელ პაატა ღვინიაშვილს, ხოლო მომდევნო ეტაპზე არანაკლებ ტიტულოვან კობიაშვილს, ფინალურ შეხვედრაში მას ძალიან ძლიერი მოწინააღმდეგე ელოდება, ჭიდაობა "სამბოს" პირველი ნომერი, ასევე, მსოფლიოსა და ევროპის მრავალგზის პრიზიორი, კასპელი ბერძენიშვილი. გიორგი ზაქაიძემ ფინალურ ეტაპში დამაჯერებელ გამარჯვებას მიაღწია. იგი ოვალად ამარცხებს ბერძენიშვილს და ჩემპიონის ტიტულს ეუფლება.



ავთანდილ თარგამაძე, გიორგი ზაქაიძის პირადი მწვრთნელი: "მეტეხში 20 მაისს ჩატარებული შეჯიბრი გამოირჩევა თავისი სიძლიერით, ვინაიდან მასში საქართველოს უძლიერესი მოჭიდავეები ღებულობდნენ მონაწილეობას. გიორგის ამ შეჯიბრში გამარჯვება კიდევ ერთ იმედს გვაძლევს იმისას, რომ ჩვენი ფალავანი მომავალშიც არაერთხელ გაახარებს სამტრედიელ გულშემატკივარს, საერთაშორისო სარბიელზე საქართველოს მრავალ გამარჯვებას მოუტანს. გიორგი ძალიან ახალგაზრდაა, იგი სულ 22 წლისაა, ვიმედოვნებ, რომ მას მალე ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის უფლება მიეცემა, რაც გიორგის სანუკვარი ოცნებაა".

გიორგი ზაქაიძის წარმატებას მის ოჯახის წევრებთან ერთად თანაბრად ინაწილებენ მწვრთნელი ბადრი შენგელია და ბესარიონ შენგერაძე.

6067 ნახტავშილი



### ნათელა ჯიფხალიაშვილი!

გულწრფელი სიყვარულით, კეთილი სურვილებით გილოცავთ დაბადების დღეს. დღეებდობა, მზერებდობა, ერთგულება დაგებდოს. სანდო მეგობრად გვეყვები და შენც მუდამ ასე გვიყვები. გაიხარე, ტკბილი დედა და ბებიაც. ღვთის წყალობა არ მოგკლებოდეს!

სამტრედიის მაგნი



### მარი თევზაძე!

ვულოცავთ დაბადების დღეს. კეთილი სურვილების ახლანა, ბედნიერება და სიხარული დაგებდოს. უფლის მადლი და მფარველობა გაპყვოდეს შენი ცხოვრების გზას. გაიხარე!

სამტრედიის მაგნი



### ჯონი ჯოჯუას!

ღირსეულ სამტრედიელს, ჩვენს მეგობარს, გილოცავთ დაბადების დღეს. უვალმა გაგიძლიეროს. წარმატებებს ვისურვებთ, ჩვენი ჯონი!

ბექან ბოძის ოცნების გახსნა

# მიზანი - გამარჯვება!

საჭიდაო კლუბმა "ფალავანი", დაბა კულაში თავისუფალ ჭიდაობაში სამტრედიის ღია პირველობას უმასპინძლა. გულშემატკივართა სიმრავლე დიდიხარის საინტერესო შეჯიბრის გარანტიას იძლეოდა. უფროსი და უმცროსი თაობის სპორტის ქომბაგები დიდი შემართებით, ინტერესით ელოდნენ ტატამზე ახალგაზრდა ფალავანთა ჭიდაობას.

23 მაისს, გუნდური პირველობის მოსაპოვებლად, ერთმანეთს ტოლს არ უდებდნენ ბათუმელი, გორელი, ქუთაისელი, ფოთელი, ქობულეთელი, ჯვარელი, ქედელი, ზუგდიდელი, ლანჩხუთელი, ხონელი, წალენჯიხელი, ჩოხატაურელი და სამტრედიელი მოჭიდავეები.

მწვრთნელთა მღელვარება, გამამხნეველი შემახილები, გამარჯვების დაუოკებელი წყურვილი ერთობად ამხარებდა საჭიდაო დარბაზში თავმოყრილთა გულისცემას.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მიერ ორგანიზებული ტურნირში 1999-2001 და 2002-2003 წლებში დაბადებული სპორტსმენები იღებდნენ მონაწილეობას. სხვადასხვა წონითი კატეგორიის მოჭიდავეებისათვის ერთი იყო ძირითადი მიზანი - გამარჯვება!

18 წონით კატეგორიაში აშკარა უპირატესობით მასპინძლებმა 13 პირველი ადგილი მოიპოვეს. საერთო შედეგებ-



ით კი - პატარებს შორის სამტრედიელებმა: ზურაბ ნიკურაძემ, ნეკა სიხარულიძემ, ილია ჩხაიძემ, მურმან იობაძემ, ოთარ ადიეშვილმა, ლუკა ხუჭუაძემ, ლუკა ნუცუბიძემ (მძიმე წონითი კატეგორია), ლანჩხუთელმა ამირან ჯინჭარაძემ და გორელმა მერაბ სულიემანიშვილმა პირველობა არავის დაუთმეს.

1999-2003 წლებში დაბადებულთა ასაკობრივ კატეგორიაში პირველადგილოსანთა რეიტინგი შემდეგნაირად გადანაწილდა: ონიანი გოდერძი (სამტრედიე), ქარჩხაძე ლუკა (ლანჩხუთი), გოგიბერიძე კობა (სამტრედიე), უღრულიძე ვია (სამტრედიე), ქებისაშვილი გოდერძი (გორი), გადელია ლუკა (ფოთი), ჩივოციძე სერგო (სამტრედიე), ჯიქიძე

გიორგი (სამტრედიე), ბალანჩივაძე ელგუჯა (სამტრედიე, მძიმე წონითი კატეგორია).

ტურნირის განმავლობაში მოჭიდავეებს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები: გამგებელი ვალერიანე ფოცხვერია, საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ ჯამბურია, გამგებლის პირველი მოადგილე დავით ბახტაძე, მოადგილეები: მამუკა თავაძე, ლიზა კრავიშვილი, საკრებულოს წევრები და სამსახურის უფროსები ამხნეველდნენ, რომლებმაც საპრიზო ადგილებზე გასულთ სპეციალური მედლები და თასები გადასცეს.

როგორც საჭიდაო კლუბ "ფალავანის" დირექტორმა, ირაკლი მელაშვილმა აღნიშნა: "მსგავსი აქტივობები მომავალში უფრო ინტენსიურ სახეს მიიღებს. პირველ რიგში მადლობას მოვასხენებ მწვრთნელებს, ბიძინა მელაშვილს, ვეფხია სტურუას, ზაზა არქინასა და ლაშა სტურუას. დღევანდელ დღეს სწორედ მათი დამსახურებით შეეხსა ხორცი. მადლობა სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ახალგაზრდობის სამსახურს და მის უფროსს, ქალბატონ ნატალია მანჯგალაძეს.

ვიმედოვნებ, შემდეგ ტურნირებში ერთობლივი ძალებით უფრო დიდ წარმატებებს მივაღწევთ".

ბექან ბოძის

# სასკოლო სუბსიდიის გამაჩქარებელი მე-11 საჯარო სკოლის კონცია

"ყოველი სასკოლო ტურნირი, რომელიც ჩვენს მუნიციპალიტეტში ჩატარდება, მნიშვნელოვანია, რადგან მოსწავლეები გაიხარდნენ ფიზიკურად ჯანმრთელები, არ ჰქონდეთ რაღაც გადარება და მოსცილდნენ ქუნას. დღესდღეობით სპორტის ზეგავლენის დადებითი მომენტები ცოტა მივივიწყებთ, ადრე კი ამას უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. - ასე დაიწყო ჩვენთან საუბარი სპორტსკოლის წარმომადგენელმა, შეჯიბრის კოორდინატორმა რამაზ თელიამ.

ტურნირში, რომელიც ფრენბურთში მუნიციპალიტეტის სკოლებს შორის გაიმართა, რომლის ორგანიზატორი კომპლექსური სპორტული სკოლაა, 8 სკოლა მონაწილეობდა. დიდი ჯიხაბის №2, გომის, მელაურის, ნოლის, კორმალის, ბაშის, დანიისა და ნაბაქვეის საჯარო სკოლები პირველ ეტაპზე დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, მეორე ეტაპზე ქალაქის 3 სკოლა ჩაერთო. ესენია №1, №2 და №11 სკოლები.

პირველ ადგილზე მე-11 საჯარო სკოლის გუნდი გავიდა, მეორე ადგილი კი კორმალის გუნდმა მოიპოვა. მესამე ადგილის მფლობელი დანიის საჯარო სკოლის გუნდია. ტურნირის ორგანიზატორებმა ნახევარფინალში გასული 5-ვე გუნდი დააჯილდოვეს. პრისები კომპლექსურმა სპორტულმა სკოლამ (ხელმძღვანელი გენო ნიკურაძე) დააწესა.

ქალბატონი მანანა ტყეშელაშვილი, მე-11 საჯარო სკოლის სპორტის პედაგოგი, ტურნირის მთავარი მსაჯიც გახლდათ. ქალბატონი მანანას ვთხოვეთ კომენტარი: "მივესალმებით სკოლების აქტიურობას. გულნატკენი ვარ იმის გამო, ქალაქის ბევრმა სკოლამ გუნდი რომ არ გამოიყვანა. ვისაც ფრენბურთი აქვთ არჩეული, იმათაც არ გამოიყვანეს და ეს ძალიან ცუდია, ბავშვებს სურთ თამაში, ვვალა სკოლაში დაგზავნილი იყო ღებულება და პასუხიც არ გავგაგებინეს. სოფლიდან ყოველთვის ძლიერი ნაკადი მოდის. 1 თვეში ტარდება იმერეთის ჩემპიონატი ფრენბურთში, გვსურს პერსპექტიული ბავშვები ავარჩიოთ. უკვე შეიქმნა სამტრედიის მუნიციპალური ნაკრები ფრენბურთში, მის წევრებს დაემატებიან კიდევ პერსპექტიული ახალგაზრდები. ნაკრებს სპორტსკოლის პედაგოგი ავთანდილ დავითულიანი ავარჯიშებს. მინდა, კორმალის სკოლის დირექტორს შორენა გიორგაძეს მის სპორტის პედაგოგს, ეთერ ნიკოგოსიანს დიდი მადლობა გადაუხადო, რადგან ყოველწლიურად გამოირჩეულად კარგად მომზადებული ბავშვები გამოიყვანა. ასევე დიდი მადლობა ეკატერინე ისლენტიევა-ბანძავას, მელაურის საჯარო სკოლის პედაგოგს".

III ადგილზე გასული დანიის სკოლის გუნდს მიხეილ ბალავაძე, სკოლის სპორტის პედაგოგი გულშემატკივრობდა. ბატონი მიხეილი ვახტანგ ბალავაძის მძისწილია. "მიუხედავად მესამე ადგილისა, დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ჩვენი სკოლის დირექტორს, გონა დანელიას, ხელშეწყობისათვის, რომელიც ყოფილი ფრენბურთელია და ეს სპორტი ძალიან უყვარს". - გვითხრა ბატონმა ვახტანგმა.

65006 ნახტავშილი

რედაქციის მისამართი: სამტრედიის რესპუბლიკის ქ. №6 ტელ: 790 391839



დირექტორი ბექან ბოძის

მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭაბუკიძე

გამომცემი რედაქტორი თამაზ ბაბუნაშვილი

პასუხისმგებელი მდივანი ლევან ბაბუნაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა მამა პაპაძე

### გულწრფელი!

ბატონ ზურაბ ბოძის! ბატონ ლევან ბაბუნაშვილი! დაბადების დღეს გილოცავთ. უფლის მადლი და წყალობა არ მოგკლებოდეთ, წარმატებებს ვისურვებთ პირად ცხოვრებაში, საზოგადოებრივ საქმიანობაში.

ღმის, ზეობისა და პირველადი კლასის პატარანთა რაიონული კავშირი

დაბადების დღეს გილოცავთ. მრავალს დაეხაროთ. დიდხანს ყოფილიყავით ქვეყნისა და ერის სამსახურში!

სამტრედიის მაგნი